

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მედიცინის ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა  
„საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“

### თამარ დოჭვირი

65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში ვარდნით გამოწვეული ტრავმების  
ეპიდემიოლოგია და პრევენციის შესაძლებლობების შეფასება საქართველოში  
საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჩიხლაძე  
საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2023 წელი

## აბსტრაქტი

1. სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა. მოსახლეობის დაბერება წარმოადგენს 21-ე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ და დემოგრაფიულ ტენდენციას. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გერიატრიული სინდრომი, რომელიც საფრთხეს უქმნის ასაკოვანი ადაიანების ჯანმრთელობას და დამოუკიდებლად ცხოვრებას არის ვარდნა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით მიერ დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში ვარდნასთან დაკავშირებული მონაცემების ნაკლებობაა, რაც შეფერხებას ქმნის სათანადო პრევენციული პროგრამების შემუშავებაში.

საქართველოში ანალოგიური კვლევები არ არის ჩატარებული.

2. კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანებების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა და ამავე ასაკობრივ კატეგორიაში ვარდნის რისკების აღქმის და ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანებების პრევენციის მიმართ დამოკიდებულებების შეფასება.

3. სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა შედგებოდა ორი ეტაპისგან. კვლევის პირველ ეტაპზე გამოყენებული იქნა რეტროსპექტული ობსერვაციული კვლევა (რაოდენობრივი კვლევა). კვლევისათვის გამოყენებული იქნა დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 7 წლის (2015-2021წწ) მონაცემები. კვლევის მეორე ეტაპზე გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა. კვლევა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით. კვლევისთვის შემუშავებული იქნა სტრუქტურირებული კითხვარი.

4. კვლევის შედეგების სამეცნიერო დირექტულება და პოტენციური პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევამ გამოავლინა, რომ 2015-2021 წლებში 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის წილი შეადგენს ყველა მიზეზით ჰოსპიტალიზაციის რაოდენობის საშუალოდ 63%-ს

(დიაპაზონით 59%-66%), ხოლო ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის 68%-ს (დიაპაზონით 65%-70%).

ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის შანსი სარწმუნოდ მაღალია ქალებში ( $p<0.001$ ) მამაკაცებთან შედარებით, ყველა ასაკობრივ ჯგუფში გარდა 65-69 წლის ასაკობრივი ჯგუფისა. 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ასაკის მატებასთან ერთად სარწმუნოდ იზრდება ჰოსპიტალიზაციის შანსი ( $p<0.001$ ).

კვლევის მეორე ეტაპზე გამოკითხულ რესპონდენტების მიერ დაცემის ადგილად სარწმუნოდ ხშირად დასახელდა ბინა, ეზო და ქუჩა; უშუალოდ ბინაში კი - სააბაზანო ოთახი, საძინებელი და სამზარეულო.

უმეტეს შემთხვევაში რესპონდენტებმა დაცემის შედეგად მიიღეს მსუბუქი ტრავმა, დახურული ტრავმის ან ჰემატომის სახით. ტვინის დაზიანება/შერყევის შემთხვევები მამაკაცებში იყო 3.59-ჯერ მაღალი, ვიდრე ქალებში ( $OR=3.59$ , 95%CI – 1.22-10.51,  $p=0.012$ ).

წარსულში დაცემის (ან/და) ტრავმის გამოცდილების შემდეგ შიშის შეგრძნებას ქალები უფრო მეტად აღნიშნავენ, ვიდრე მამაკაცები ( $OR=1.53$ , 95%CI – 1.18-1.98,  $p<0.001$ ).

მიღებული შედეგები მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას მტკიცებულებებზე დაფუძნებული განათლებითი კომპონენტების შემუშავებისათვის, ინდივიდუალურ რისკ-ფაქტორებზე მორგებული მულტიდომენური ინტერვენციების დანერგვისათვის და გერიატრიული სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის საქართველოში.

**საკვანძო სიტყვები:** ვარდნა, ვარდნის რისკი, ვარდნის ეპიდემიოლოგია, დაზიანება, ჰოსპიტალიზაცია.

## Abstract

### **1. The relevance of the dissertation topic, the novelty and innovativeness of the research.**

Population ageing is one of the most important social and demographic trends of the 21st century.

Falls are one of the most common geriatric syndromes that threaten the health and independence of older people.

According to the World Health Organization, there is insufficient data on falls in low- and middle-income countries, making it difficult to develop appropriate prevention programmes.

No studies of this kind have been conducted in Georgia up to this day.

**2. Research objective/objectives and aims.** Consequently, the main purpose of the thesis is to examine the epidemiological characteristics of fall-related injuries in people aged 65 years and older in Georgia and to assess their attitude to and perception of fall-related risks and prevention of fall-related injuries.

**3. Structure of a scientific paper and research methodology.** The study consisted of two stages. The first one involved a retrospective observational (quantitative) study analyzing data from the 7-year (2015-2021) hospitalization registry of the National Center for Disease Control and Public Health.

The second stage was a quantitative study, including personal interviews with representatives of the target group, using a structured questionnaire developed especially for this purpose.

**4. Scientific value and potential practical importance of research results.** The study showed that in the target group falls accounted for an average of 63% (from 59 to 66%) of all hospitalizations and 68% (from 65% to 70%) of injury-related hospitalizations.

The probability of fall-related hospitalization was significantly higher in women ( $p<0.001$ ) compared to men in all age groups except 65-69 years. In the target age group of 65 years and older, the probability of hospitalization increased significantly with increase in age ( $p<0.001$ ).

Most of the respondents, interviewed in the second stage of the survey, reportedly fell at home, in the yard or in the street; while at home they mostly mentioned bathroom, bedroom and kitchen as the place where they fell.

In most cases, respondents suffered minor injuries, including closed injuries or hematomas. The incidence of head injury/concussion was 3.59 times higher in men than in women (OR=3.59, 95%CI - 1.22-10.51, p=0.012).

Women were more likely than men to report fear of falling due to past experience of falling and/or injury (OR=1.53, 95%CI - 1.18-1.98, p<0.001).

The findings of the study can be used to develop evidence-based awareness components, implement multi-domain interventions tailored to individual risk factors, and improve the quality of geriatric health care services in Georgia.

**keywords:** fall, risk of falling, epidemiology of falls, injury, hospitalization.

## **სარჩევი**

<b>I.</b>	<b><u>შესავალი</u></b>	1
	<b><u>1.1 ნაშრომის აქტუალობა</u></b>	1
<b>II.</b>	<b><u>კვლევის მიზნები და ამოცანები</u></b>	7
	<b><u>2.1 ნაშრომის მეცნიერული სიახლე</u></b>	7
	<b><u>2.2 პრაქტიკული ორგებულება</u></b>	8
<b>III.</b>	<b><u>ლიტერატურის მიმოხილვა</u></b>	9
	<b><u>3.1 მოსახლეობის დაბერების ტენდენციები: ევროპის რეგიონი და საქართველო</u></b>	9
	<b><u>3.2 ვარდნის დეფინიცია და ISD-10 კოდები</u></b>	13
	<b><u>3.3 ვარდნის ტენდენციები</u></b>	13
	<b><u>3.4 ვარდნის რისკ-ფაქტორები</u></b>	17
	<b><u>3.5 ვარდნის პრევენცია 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში</u></b>	20
	<b><u>3.6 კლინიკურ პრაქტიკაში ვარდნის რისკების შეფასების საერთაშორისო მიდგომები და ეროვნული გაიდლაინი</u></b>	26
<b>IV.</b>	<b><u>კვლევის ეტაპები</u></b>	29
	<b><u>4.1 კვლევის პირველი ეტაპი</u></b>	29
	<b><u>4.1.1 მიზანი და ამოცანები</u></b>	29
	<b><u>4.1.2 კვლევის მეთოდები</u></b>	30
	<b><u>4.1.3 კვლევის ეთიკური ასპექტები</u></b>	30
	<b><u>4.1.4 კვლევის პირველი ეტაპის შედეგები</u></b>	30
	<b><u>4.2 კვლევის მეორე ეტაპი</u></b>	57
	<b><u>4.2.1 მიზანი და ამოცანები</u></b>	57
	<b><u>4.2.2 კვლევის მეთოდები</u></b>	58
	<b><u>4.2.3 კვლევის ეთიკური ასპექტი</u></b>	60
	<b><u>4.2.4 კვლევის მეორე ეტაპის შედეგები</u></b>	61
<b>V.</b>	<b><u>დასკვნები</u></b>	123
<b>VI.</b>	<b><u>რეკომენდაციები</u></b>	126
<b>VII.</b>	<b><u>ბიბლიოგრაფია</u></b>	128
<b>VIII.</b>	<b><u>სამეცნიერო პუბლიკაციების ჩამონათვალი</u></b>	138
<b>IX.</b>	<b><u>მოხსენებები ნაშრომის თემაზე</u></b>	139
<b>X.</b>	<b><u>დანართები</u></b>	140

ცხრილები

ცხრილი 1. მოსახლეობის რაოდენობა და სტრუქტურა, პროგნოზული მაჩვენებელები.....	9
ცხრილი 2. საქართველოს მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა, 2021 წელი.....	10
ცხრილი 3 თბილისის მოსახლეობა, 2021 წელი.....	12
ცხრილი 4. 1990 წ და 2019 წ DALY-ს მაჩვენებელი.....	15
ცხრილი 5. NARI-ის კლასიფიკაციის მიხედვით, შინაგანი და გარეგანი რისკ-ფაქტორები.....	18
ცხრილი 6. მედიკამენტები, რომლებიც დაკავშირებულია ვარდნის გამომწვევა მიზეზებთან.....	19
ცხრილი 7. 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ყველა მიზეზით და ვარდნით გამოწვეული	
ჰოსპიტალიზაცია, საქართველო, 2015-2021წწ.....	31
ცხრილი 8. 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ტრავმული დაზიანებით და ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, საქართველო, 2015-2021წწ.....	33
ცხრილი 9. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ქალების და მამაკაცების თანაფარდობა, საქართველო, 2015-2021წწ.....	35
ცხრილი 10. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ასაკობრივი ჯგუფების თანაფარდობა, საქართველო, 2015-2021წწ.....	37
ცხრილი 11. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ქალების და მამაკაცების შანსთა ფარდობა, საქართველო, 2015-2021წწ.....	37
ცხრილი 12. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ვარდნის დონე, საქართველო, 2015-2021წწ.....	39
ცხრილი 13. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ვარდნის დონე, საქართველო, 2015-2021წწ. (წლების მიხედვით).....	39
ცხრილი 14. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია/ლოკალიზაცია, საქართველო, 2015-2021წწ. ....	40
ცხრილი 15. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, სეზონურობა, საქართველო, 2015-2021წწ....	41
ცხრილი 16. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, სეზონურობა, საქართველო, 2015-2021 (წლების მიხედვით).....	42
ცხრილი 17. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობა, საქართველო, 2015-2021წწ.....	43
ცხრილი 18. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობა, საქართველო, 2015-2021წწ. (წლების მიხედვით).....	43
ცხრილი 19. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2015-2021წწ.....	44
ცხრილი 20. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალში დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობა, საქართველო, 2015-2021წწ. (წლების მიხედვით).....	44
ცხრილი 21. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალში დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობა ტრავმული დაზიანების ლოკალიზაციის მიხედვით, საქართველო, 2015-2021წწ.....	44
ცხრილი 22. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედევი, საქართველო, 2015-2021წწ.....	46
ცხრილი 23. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედევი, საქართველო, 2015-2021წწ. (წლების მიხედვით).....	46
ცხრილი 24. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურა, საქართველო, 2015-2021წწ.....	47
ცხრილი 25. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედევი, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2015-2021წწ. ....	48
ცხრილი 26. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ვარდნის დონე, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2015-2021წწ. ....	48
ცხრილი 27. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ტრავმული დაზიანების ლოკალიზაციის მიხედვით, საქართველო, 2015-2021წწ. (ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით).....	49





ცხრილი 96.გამოკითხულთა განაწილება სოციალური აქტივობისა და ასაკის მიხედვით.....	91
ცხრილი 97.გამოკითხულთა განაწილება ფიზიკური აქტივობის და სქესის მიხედვით.....	92
ცხრილი 98.გამოკითხულთა განაწილება სოციალური აქტივობის და სქესის მიხედვით .....	92
ცხრილი 99.გამოკითხულთა განაწილება კიბეებზე დამოუკიდებლად გადაადგილებისა და ასაკის მიხედვით.....	93
ცხრილი 100.გამოკითხულთა განაწილება აღმართზე ასვლისა და დაღმართზე ჩასვლისა და ასაკის მიხედვით.....	93
ცხრილი 101.გამოკითხულთა განაწილება ძირიდან ნივთის აღების ან მაღლა მდებარე თაროდან ნივთის ჩამოღებისა და ასაკის მიხედვით.....	94
ცხრილი 102.გამოკითხულთა განაწილება სკამიდან თავისუფლად წამოდგომისა და დაჯდომისა და ასაკის მიხედვით .....	95
ცხრილი 103.გამოკითხულთა განაწილება დამოუკიდებლად ჩაცმისა და გახდისა და ასაკის მიხედვით .....	95
ცხრილი 104.გამოკითხულთა განაწილება დამოუკიდებლად ბანაობისა და ასაკის მიხედვით.....	96
ცხრილი 105.გამოკითხულთა განაწილება კიბეებზე დამოუკიდებლად გადაადგილების და სქესის მიხედვით.....	97
ცხრილი 106.გამოკითხულთა განაწილება აღმართზე დამოუკიდებლად გადაადგილების და სქესის მიხედვით.....	97
ცხრილი 107.გამოკითხულთა განაწილება ძირიდან ნივთის აღების ან მათზე მაღლა მდებარე თაროდან ნივთის ჩამოღების და სქესის მიხედვით.....	97
ცხრილი 108.გამოკითხულთა განაწილება სკამიდან თავისუფლად წამოდგომისა და დაჯდომის და სქესის მიხედვით.....	98
ცხრილი 109.გამოკითხულთა განაწილება დამოუკიდებლად ჩაცმისა და გახდის და სქესის მიხედვით .....	98
ცხრილი 110.გამოკითხულთა განაწილება დამოუკიდებლად ბანაობის და სქესის მიხედვით.....	99
ცხრილი 111.გამოკითხულთა განაწილება ჯანმრთელობის თვითშეფასებისა და ასაკის მიხედვით.....	99
ცხრილი 112.გამოკითხულთა განაწილება ჯანმრთელობის თვითშეფასების და სქესის მიხედვით....	100
ცხრილი 113.გამოკითხულთა განაწილება სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ასაკის მიხედვით.....	100
ცხრილი 114.გამოკითხულთა განაწილება სამედიცინო დაწუსებულებისთვის ან პერსონალისთვის მიმართვისა და ასაკის მიხედვით.....	101
ცხრილი 115.გამოკითხულთა განაწილება სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის და სქესის მიხედვით.....	102
ცხრილი 116.გამოკითხულთა განაწილება სამედიცინო დაწუსებულებისთვის ან პერსონალისთვის მიმართვისა და სქესის მიხედვით.....	102
ცხრილი 117.გამოკითხულთა განაწილება ბოლო 12 თვის განმავლობაში დაცემის შემთხვევისა და ასაკის მიხედვით .....	103
ცხრილი 118.გამოკითხულთა განაწილება ბოლო 12 თვის განმავლობაში დაცემის შემთხვევების რაოდენობისა და ასაკის მიხედვით .....	103
ცხრილი 119.გამოკითხულთა განაწილება დაცემის ადგილისა და ასაკის მიხედვით .....	104
ცხრილი 120.გამოკითხულთა განაწილება ბინაში დაცემის ადგილისა და ასაკის მიხედვით.....	104
ცხრილი 121.გამოკითხულთა განაწილება დაცემის დროს აქტივობისა და ასაკის მიხედვით.....	105
ცხრილი 122.გამოკითხულთა განაწილება დაცემის შედეგად ტრავმის სიმძიმისა და ასაკის მიხედვით .....	105
ცხრილი 123.გამოკითხულთა განაწილება დაცემის შედეგად ტრავმის ტიპისა და ასაკის მიხედვით. ....	106
ცხრილი 124.გამოკითხულთა განაწილება დაცემის შედეგად სხეულის დაზიანებული ნაწილისა და ასაკის მიხედვით .....	107
ცხრილი 125.გამოკითხულთა განაწილება მკურნალობის ღოვაციისა და ასაკის მიხედვით.....	107
ცხრილი 126.გამოკითხულთა განაწილება მკურნალობის ტიპისა და ასაკის მიხედვით.....	108
ცხრილი 127.გამოკითხულთა განაწილება კლინიკაში გატარებული საწოლდღეებისა და ასაკის მიხედვით.....	108

ცხრილი 128.გამოკითხულთა განაწილება ტრავმული დაზიანებ(ებ)ის ვითარების, მიზეზებისა და ასაკის მიხედვით .....	109
ცხრილი 129.გამოკითხულთა განაწილება წაქცევის საშიშროების გამო ბინაში ფრთხილად მოძრაობისა და ასაკის მიხედვით .....	110
ცხრილი 130.გამოკითხულთა განაწილება წაქცევის საშიშროების გამო სამსახურში ფრთხილად მოძრაობისა და ასაკის მიხედვით.....	110
ცხრილი 131.გამოკითხულთა განაწილება წაქცევის საშიშროების გამო ბინიდან გარეთ გამოსვლისას ფრთხილად მოძრაობისა და ასაკის მიხედვით.....	111
ცხრილი 132.გამოკითხულთა განაწილება წაქცევის საშიშროების გამო კიბეებით სარგებლობისას ფრთხილად მოძრაობისა და ასაკის მიხედვით.....	112
ცხრილი 133.გამოკითხულთა განაწილება კიბეებით სარგებლობისას მოაჯირის მუჭიდებისა და ასაკის მიხედვით.....	112
ცხრილი 134.გამოკითხულთა განაწილება ქარიან, ყინულიან ან წვიმიან დღეებში გარეთ გასვლისგან თავისარიდებისა და ასაკის მიხედვით.....	113
ცხრილი 135.გამოკითხულთა განაწილება ავეჯის განლაგების გამო შეფერხებისა და ასაკის მიხედვით.	114
ცხრილი 136. გამოკითხულთა განაწილება ბინაში ფეხის დაცურების საშიშროებისა და ასაკის მიხედვით.....	114
ცხრილი 137.გამოკითხულთა განაწილება ხალიჩების გამო შეფერხებისა და ასაკის მიხედვით. ....	115
ცხრილი 138. გამოკითხულთა განაწილება ბინაში განათებისა და ასაკის მიხედვით. ....	115
ცხრილი 139.გამოკითხულთა განაწილება დაცემის და ტრავმატიზმის პრევენციის შესახებ ინფორმირებულობისა და ასაკის მიხედვით .....	116
ცხრილი 140.გამოკითხულთა განაწილება დაცემის და ტრავმატიზმის პრევენციის შესახებ ინფორმაციის წყაროსა და ასაკის მიხედვით.....	116
ცხრილი 141.გამოკითხულთა განაწილება დაცემის და ტრავმატიზმის პრევენციის შესახებ ინფორმირებულობის მნიშვნელობისა და ასაკის მიხედვით.....	117
ცხრილი 142.გამოკითხულთა განაწილება დაცემის და ტრავმატიზმის პრევენციის შესახებ ინფორმაციის მიღების სურვილისა და ასაკის მიხედვით.....	117
ცხრილი 143.გამოკითხულთა განაწილება დაცემის და ტრავმატიზმის პრევენციის შესახებ ინფორმაციის მიღების სახეობისა და ასაკის მიხედვით.....	118
ცხრილი 144.გამოკითხულთა განაწილება დაცემის და ტრავმატიზმის პრევენციის შესახებ ინფორმირებულობისა და სქესის მიხედვით.....	118
ცხრილი 145.გამოკითხულთა განაწილება დაცემის და ტრავმატიზმის პრევენციის შესახებ ინფორმაციის წყაროს მიხედვით.....	119
ცხრილი 146.გამოკითხულთა განაწილება დაცემის და ტრავმატიზმის პრევენციის შესახებ ინფორმირებულობის მნიშვნელობის მიხედვით.....	119
ცხრილი 147.გამოკითხულთა განაწილება დაცემის და ტრავმატიზმის პრევენციის შესახებ ინფორმაციის მიღების სურვილისა და სქესის მიხედვით.....	120
ცხრილი 148.გამოკითხულთა განაწილება დაცემის და ტრავმატიზმის პრევენციის შესახებ ინფორმაციის მიღების სახეობისა და სქესის მიხედვით.....	120
ცხრილი 149.მრავლობითი რეგრესიული ანალიზის შედეგები. გამოსავალი - ბოლო 12 თვეს განმავლობაში დაცემის შემთხვევის არსებობა .....	121
ცხრილი 150.მრავლობითი რეგრესიული მოდელის რეზიუმე .....	121
ცხრილი 151.მრავლობითი რეგრესიული ანალიზის შედეგები. გამოსავალი - ბოლო 12 თვეს განმავლობაში დაცემის შემთხვევის რაოდენობა.....	122
ცხრილი 152.მრავლობითი რეგრესიული მოდელის რეზიუმე .....	123

## დიაგრამები

<u>დიაგრამა 1.</u> 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, საქართველო, 1994-2022წწ.	11
<u>დიაგრამა 2.</u> გლობალური DALY დაკავშირებული ყველა ტრავმასთან 100000 მოსახლეზე (%).	
2019წ.	14
<u>დიაგრამა 3.</u> ვარდნასთან დაკავშირებული DALY 100000 მოსახლეზე	15
<u>დიაგრამა 4.</u> ვარდნასთან დაკავშირებული DALY 100000 მოსახლეზე შემოსავლის მიხედვით, 2019წ.	16
<u>დიაგრამა 5.</u> ტრავმული აზიანებით და ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა, საქართველო, 2015-2021წწ.	32
<u>დიაგრამა 6.</u> ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა, საქართველო, 2015-2021წწ.	34
<u>დიაგრამა 7.</u> ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის ინციდენტობის მაჩვენებელი, საქართველო, 2015-2021წწ.	34
<u>დიაგრამა 8.</u> ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, პაციენტების სქესობრივი სტრუქტურა, საქართველო, 2015-2021წწ.	35
<u>დიაგრამა 9.</u> ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, პაციენტების ასაკობრივი სტრუქტურა, საქართველო, 2015-2021წწ.	36
<u>დიაგრამა 10.</u> ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, პაციენტების განაწილება ჰოსპიტლები რეგიონების მიხედვით, საქართველო, 2015-2021წწ.	38
<u>დიაგრამა 11.</u> ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ლოკალიზაცია, საქართველო, 2015-2021წწ.	40
<u>დიაგრამა 12.</u> ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციისას საწილდღეების რაოდენობა, საქართველო, 2015-2021წწ.	42
<u>დიაგრამა 13.</u> ჰოსპიტალიზაცია, ლეტალობა, საქართველო, 2015-2021წწ.	47
<u>დიაგრამა 14.</u> ჰოსპიტალიზაცია სქესობრივ ჭრილში, საქართველო, 2015-2021წწ.	53
<u>დიაგრამა 15.</u> ჰოსპიტალიზაცია, ვარდნის თონჯ, საქართველო, 2015-2021წწ.	57

## სქემები

<u>სქემა 1.</u> ვარდნის რისკები.	19
<u>სქემა 2.</u> დაცემის პრევენცია 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანებში	23
<u>სქემა 3.</u> კვლევის ეტაპები.	29

## სურათები

<u>სურათი 1.</u> 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის მაჩვენებლები სხვადასხვა ქვეყნებში.	
	11
<u>სურათი 2.</u> ინციდენტობის მაჩვენებელი (100000 მოსახლეობაზე), 2017წ.	14

## დანართები

<u>დანართი 1.</u> დაცემისა და მოტეხილობების პრევენციის ეროვნული ალგორითმი.	140
<u>დანართი 2.</u> სამედიცინო ეთიკის კომისიის თანხმობის წერილი.	141
<u>დანართი 3.</u> 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობაში დაცემის რისკების აღჭმის და ტრავმატიზმის პრევენციის მიმართ დამოკიდებულების შეფასება (კვლევის კითხვარი)	142

## აბრევიატურების ჩამონათვალი

- აშშ- ამერიკის შეერთებული შტატები
- AGS/BGS- American Geriatric Society/British Geriatric Society-ამერიკული გერიატრიული საზოგადოება/ბრიტანული გერიატრიული საზოგადოება
- CDC - Centers for Disease Control and Prevention-ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები
- CEB - Council of Europe Development Bank-ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი
- DALY - Disability-adjusted life years-უნარშეზღუდულობით გატარებული სიცოცხლის წლები
- EIP on AHA - The European Innovation Partnership on Active and Healthy Ageing- ევროპული ინიციატიური პარტნიორობა აქტიური და ჯანსაღი დაბერებისთვის
- FRAQ - Falls Risk Awareness Questionnaire-ვარდნის პრევენციის ქცევის ცნობიერების კითხვარი
- FROP-COM - Falls Risk Assessment of Older Person-Community-ვარდნის რისკის შეფასება ასაკოვანი პირების-საზოგადოებაში
- GBD - Global Burden of Disease-დაავადების გლობალური ტვირთი
- ICD - International Classification of Diseases and Health related problems- ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაცია
- ICREATE - Increasing Capacity for Research in Eastern Europe-კვლევის მოცულობის გაზრდა აღმოსავლეთ ევროპაში
- IHME-Institute for Health Metrics and Evaluation-ჯანმრთელობის მეტრიკისა და შეფასების ინსტიტუტი
- NARI- National Ageing Research Institute-დაბერების ეროვნული კვლევითი ინსტიტუტი
- SPSS-Statistical Package for the Social Sciences-სოციალური მეცნიერებების სტატისტიკური პროგრამა
- W000-W019-დიაგნოზების კოდები
- WHO - The World Health Organization-ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

## I. შესავალი

### 1.1 ნაშრომის აქტუალობა.

მოსახლეობის დაბერება წარმოადგენს 21-ე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ და დემოგრაფიულ ტენდენციას (DBCE, 2014), (Gelbard, et al., 2014), , (United Nations Department of Economic and Social Affairs Population Division, 2022), (WHO, Global report on falls prevention in older age, 2008) სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა ჯანდაცვის სექტორის უდიდესი მიღწევაა, თუმცა ამავდროულად აღნიშნული ტენდენცია გარკვეული გამოწვევების წინაშე აყენებს საზოგადოების განვითარებას. დადგენილია, რომ არაჯანსაღი ცხოვრების წლები შეადგენს ადამიანის სიცოცხლის დაახლოებით 20%-ს, ამდენად ხანგრძლივ სიცოცხლესთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია ზრუნვა ხანდაზმული ადამიანების ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე, რათა მათ შეძლონ აქტიური და დამოუკიდებელი ცხოვრება (PubMed, 2020)

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გერიატრიული სინდრომი, რომელიც საფრთხეს უქმნის ასაკოვანი ადამიანების ჯანმრთელობას და დამოუკიდებლად ცხოვრებას არის ვარდნა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით ვარდნა არის არასატრანსპორტო შემთხვევითი დაზიანებებით გამოწვეული სიკვდილიანობის წამყვანი მიზეზი და მისი რიცხვი ყოველწლიურად 684 000-ს აღწევს (WHO., 2021) გლობალურ დონეზე შეფასების თანახმად ხანდაზმული მოსახლეობის დაახლოებით მესამედი ეცემა წელიწადში ერთხელ მაინც, რაც შემთხვევების 5%-ში იწვევს მოტეხილობას, ეს ნიშნავს, რომ გლობალურ დონეზე ყოველ წამს ერთი ხანდაზმული ეცემა და ყოველ მე-19 წამს ერთი ხანდაზმულის დაცემა სრულდება ფატალური შედეგით. (Souza, Röhsig, Maestri, Mutlaq, & all, 2019), (WHO, Falls., 2021)135, (WHO, Falls, Geneva, 2018) , (WHO., 2021) ვარდნა არის დაზიანებებთან დაკავშირებული უნარშეზღუდულობით გატარებული სიცოცხლის წლების მაჩვენებლის (DALYs) მთავარი მიზეზი.

მოსახლეობის დაბერების ტენდენცია დაკავშირებულია ასაკოვანი ადამიანების რაოდენობის მატებასთან, შესაბამისად იზრდება მათ შორის ვარდნისა და ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანებების რაოდენობა და შედეგად 65

წლის და მეტი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში დროებითი ან მყარი, ხანგრძლივი უნარშეზღუდულობა, რაც შეიძლება მძიმე ტვირთად დააწვეს ოჯახს, ჯანდაცვის სისტემას, სახელმწიფო ეკონომიკას, რასაც ადასტურებს ტრავმის ტვირთან ასოცირებული ხარჯების მრავალრიცხოვანი კვლევები (Carande-Kulis, et al., 2015), (CDS, 2012), (De Grauw X, Annest J, Stevens JA, Xu L, & Coronado, 2006-2011.), (Dellinger AM & Stevens), (Finkelstein EA, Chen H, Miller TR, Corso PS, & JA., 2005 ), (Haddad, Bergen, & Florence, 2018), (Haddad, Bergen, & Luo, 2018), (Haddad YK, Karani MV, Bergen G, & Marcum, 2018), (Kiyu, Halim, Pelitini, & Chong, 2021), (Stevens J. , Corso, Finkelstein, & Miller, 2005), (Stevens J. , Corso, Finkelstein, & Miller, 2006), (Stevens JA, Mack KA, Paulozzi LJ, & Ballesteros, 2008), (Stevens JA, Noonan RK, & Rubenstein, 2010), (Stevens JA, Ryan G, & Kresnow, 2007), (Stevens J. , 2008), (DanMedBill, 1987), (Thomas KE, Stevens JA, Sarmiento K, & MM., 2008), (WHO., 2021). მაგალითად აშშ-ში ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მხოლოდ ერთი წლის (2015 წ.) განმავლობაში ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანებების მკურნალობაზე დაიხარჯა 50 მილიარდ დოლარზე მეტი, ხოლო მხოლოდ ერთ შტატში (ჰავაის შტატი) 2007-2011 წლებში სახელმწიფოს მიერ გაწეულმა მკურნალობის ხარჯებმა შეადგინა 116.6 მილიონი აშშ დოლარი. (Bergen G, Stevens MR, & Burns, 2016), (Florence CS, et al., 2018) პროგნოზული მაჩვენებლების მიხედვით 2040 წლისთვის მკურნალობის ხარჯები თითქმის გაორმაგდება და შეადგენს 240 მილიონ აშშ დოლარს (Florence CS, et al., 2018). ვარდნა განსაკუთრებით დიდი გამოწვევაა დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებისათვის.

ბოლო ორი დეკადის განმავლობაში ზრდის ტენდენციის და მასთან დაკავშირებული სამედიცინო, სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების გამო ვარდნა მოექცა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სპეციალისტების ფოკუსში და ყურადღება გამახვილდა ვარდნის ეპიდემიოლოგიისა და პრევენციის შესწავლის აუცილებლობაზე, ასევე ასაკოვანი პირების ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით რელევანტური რეკომენდაციების შემუშავების აუცილებლობაზე. (Bergen G, Stevens MR, & Burns, 2016), (Gelbard, et al., 2014) აღნიშნულ პროცესებში უმნიშვნელოვანესი წვლილის შეტანის პოტენციალი

აქვს ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სექტორს, განსაკუთრებით სხვა სექტორებთან ეფექტური თანამშრომლობის პირობებში.

მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში (მათ შორის აშშ-ში, ფინეთში, ავსტრალიაში, დიდ ბრიტანეთში, ჰოლანდიაში, პორტუგალიაში, იაპონიაში) ჩატარებულია სხვადასხვა კვლევები ვარდნის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლის მიზნით, ამავე ტიპის კვლევები ჩატარებულია ასევე სხვა ქვეყნებშიც (ინდოეთი, ბრაზილია, ჩინეთი, ინდონეზია, ინდოეთი, ვიეტნამი, კუვეიტი, საუდის არაბეთი, პოლონეთი და სხვა). (Almegbel FY, Alotaibi IM, Alhusain FA, & et, 2018), (Buczak-Stec E & Goryński, 2013;), (Souza, Röhsig, Maestri, Mutlaq, & all, 2019), (Dsouza S, Rajashekhar B, Dsouza H, & Kurman, 2014), (Gupta S & al, 2015), (Hartholt KA, Lee R, Burns ER, & Beeck, 2019), (Hartholt KA, Stevens JA, Polinder S, van der Cammen TJ, & Patka, 2011 ), (Hartholt KA, et al., 2010), (Healey F, et al., 2008), (Ibrahim IK & AlAsoomi, 2021 ), (James SL & all, 2020), (Kannus P, Parkkari J, Niemi S, & Sievänen, 2018 ), (Masud T & Morris, 2001.), (Murray CJ & Lopez, 1996), (Nabavi SH, et al., 2016), (Peel, 2011 ), (Salari N, Darvishi N, Ahmadipanah M, Shohaimi S, & Mohammadi, 2022), (Sampaio F, Nogueira P, Ascenção R, Henriques A, & Costa, 2021 ), (Stevens JA, Mack KA, Paulozzi LJ, & Ballesteros, 2008), (Stevens & Rudd, 2014), (Stevens & Rudd, 2014), (Stevens JA, Ryan G, & Kresnow, 2007), (Stevens, KE Thomas, & Sogolow, 2007), (Stolt LROG, Kolisch DV, Tanaka C, Cardoso MRA, & Schmitt, 2020;), (Tang CTL, Sing CW, Kwok TCY, Li GHY, & Cheung, 2021), (Ye P, et al., 2021).  
მრავალრიცხოვანი კვლევებით შესწავლილია ჰოსპიტალიზაციისა და სიკვდილიანობის ტრენდები სხვადასხვა ქვეყანაში (Moreland & Ramakrishna, 2020.), (Carlos & Laredo, 2006), (De Souza AB, et al., 2019), (Lancet., 2020), (Haagsma JA, et al., 2020), (Hagiya, et al., 2019), (Hartholt KA, Stevens JA, Polinder S, van der Cammen TJ, & Patka, 2011 ), (Hartholt KA, et al., 2010) , (Houry, Florence, Baldwin, Stevens, & McClure, 2015), (Jørgensen TS, et al., 2015), (Lyu H, et al., 2022), (Mahoney, Glysch, Guilfoyle, Hale, & Katcher, 2005), (Machado M. F., Lima, Correia, Soares, & Melo), (Moreland, Burns, & Haddad, 2022), (Moreland B, Kakara R, & Henny, 2020), (Moreland, Burns, & Haddad, 2021), (Nilson F, Moniruzzaman S, & Andersson, 2016 Sep ), (Orces, 2009), (Padrón-Monedero, Damián, Pilar Martin, & Fernández-Cuenca, 2017) , (Paulozzi, Ballesteros, & Stevens, 2006), (Paul, Harvey, Carroll, & all., 2017), გადაუდებელი დახმარების განყოფილებებში

მიმართვიანობა და დაცემის შედეგად განვითარებული ტრავმული დაზიანებების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები (De Grauw X, Annest JL, Stevens JA, Xu L, & Coronado, 2015), (Haddad Y, Shakya I, Moreland B, Kakara R, & Bergen, 2020), (Kakara, Moreland, Haddad, Shakya, & Bergen, 2021), (Moreland, Burns, & Haddad, 2021), (Moreland B, Kakara R, Haddad Y, Shakya I, & Bergen, 2020), (Moreland B, Legha J, Thomas K, & Burns, 2022), (Moreland B, Shakya I, & Idaikkadar, 2022), (Moreland, Burns, & Haddad, 2021), (Ramakrishna K, Moreland B, Haddad Y, Shakya I, & Bergen, 2015), (Shakya I, Bergen G, Haddad YK, Kakara R, & Moreland, 2020), (Soomar SM & Dhalla, 2023).

შესწავლილია ასევე 65 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფებში ვარდნის პრევენციის მიმართ ქცევა-დამოკიდებულებები, ცოდნისა და აღქმის საკითხები (Boyd R & Stevens, 2009), (Jing Wen Goh, Devinder Kaur Ajit Singh, Normala Mesbah, Anis Afifa Mohd Hanafi, & Azwan, 2021), (Nirmala, Nirmala, & Alwis, 2018), (Stevens JA, Noonan RK, & Rubenstein, 2010), რისკ-ფაქტორები (Alenazi, 2023), (Bergen G, Stevens MR, & Burns, 2016), (Booth, Hood, & Kerney, 2016), (Eckstrom E, et al., 2017), (Haddad, Kakara, & Maecum, 2022), (Haddad YK, Karani MV, Bergen G, & Marcum, 2018), (Haddad, Luo, Bergen, Legha, & Atherly, 2021), (Kakara R, Bergen, & Burnes, 2023), (Mark J, Haddad Y, & Burns, 2020), (O'Loughlin, 1993), (WHO, 2021), (Pengpid S & Peltzer, 2018 ), (Phelan EA, Mahoney JE, Voit JC, & Stevens, 2015), (Pitchai P, et al., 2019), (Sharif SI, Al-Harbi AB, Al-Shihabi AM, Al-Daour DS, & Sharif, 2018 ), (Smith L, et al., 2021), (Stevens, Mahoney, & Ehrenreich, 2014), (Susilowati IH, et al., 2020), (Thurman DJ, Stevens JA, & Rao, 2008); გენდერული თავისებურებები (A Johansson J, Nordström A, & Nordström, 2016), (Stevens JA, Baldwin GT, Ballesteros M, Noonan R, & Sleet, 2010), (Stevens JA, Smith ML, Parker EM, Jiang L, & Floyd, 2017) ; თავისებურებები Covid-19 პანდემიის პერიოდში ( (Kiyu, Halim, Pelitini, & Chong, 2021), (Isha Tajane, Julia Jossy, Priya Gupta, & Prachi, 2021), (Nguyen HT, Nguyen, & Hoang, 2022). ჩატარებულია კვლევები პრევენციული ღონისძიებების შეფასებებსა და სხვა ასპექტებთან მიმართებაში ( (Bergen G, Stevens MR, & Burns, 2016), (Casey CM, et al., 2016), (Fox PJ, et al., 2010), (Gillespie LD, et al., 2012), (Henry A, Haddad Y, & Bergen, 2022), (Jin, 2018), (Johnston Y, et al., 2022), (Johnston YA, et al., 2018), (Kaniewski M, Stevens JA, Parker EM, & Lee, 2015 ), (Klein D, et al., 2014), (Lee A, Lee K, & Khang, 2013), (Lee, 2017), (LeLaurin JH & Shorr, 2019 ), (Li F, et al., 2013), (Noonan RK, Sleet DA, & Stevens, 2011), (Ory

MG, et al., 2015), (Rogrs, et al., 2021), (Rubenstein LZ & Josephson, 2006), (Sarmiento & Lee, 2017), (Sherrington C, Fairhall N, & Wallbank, 2020), (Sleet DA & Baldwin, 2014), (Smith ML, Ory MG, & Ahn, 2012), (Smith ML, et al., 2015), (Stevens JA & Lee, 2018), (Stevens JA & Phelan, 2013), (Stevens JA, Smith ML, Parker EM, Jiang L, & Floyd, 2017), (Stevens JA, Voukelatos A, & Ehrenreich, 2014), (Stevens J., 2013), (Stevens J., 2008), (Stolt LROG, Kolisch DV, Tanaka C, Cardoso MRA, & Schmitt, 2020;), (Thanapluetiwong S, Chewcharat A, & Takkavatakarn, 2020), (Yamazaki Y, Hayashida CT, & Yontz, 2017).

დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში ვარდნის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები და ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანებების ტვირთი არ არის სათანადოდ შესწავლილი. მოცემული საკითხის შესახებ ცნობიერების დაბალი დონიდან გამომდინარე ვარდნის რისკების სათანადოდ არ არის შეფასებული საზოგადოების მხრიდან და შესაბამისად პრობლემა არ არის სრულფასოვნად აღქმული უშუალოდ 65 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფებში (Stevens JA, Baldwin GT, Ballesteros M, Noonan R, & Sleet, 2010). პრევენციული ღონისძიებების არარსებობა კი მნიშვნელოვნად ისახება დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნების ხანდაზმული მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხარისხზე.

გლობალურ დონეზე პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე ევროკომისიის და ევროკავშირის მიერ ინიცირებულია სხვადასხვა პროექტები და ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობს ვარდნის შემთხვევების და მასთან ასოცირებული დაავადებების თავიდან აცილებასა და შემცირებას და შესაბამისად ხანდაზმული მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას (Gelbard, et al., 2014). „ევროპული ინოვაციური პარტნიორობა აქტიური და ჯანსაღი დაბერებისთვის (AHA)” წარმოადგენს ევროკომისიის ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს დიგიტალიზაციის ინოვაციური გამოყენების ხელშეწყობას ხანდაზმული მოსახლეობის ჯანმრთელობის და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. (EC, 2022.)

აქტიური და ჯანსაღი დაბერება (AHA) მიზნად ისახავს ხანდაზმული ადამიანების ცხოვრების ზოგადი ხარისხის გაუმჯობესებას ჯანმრთელობაზე ზრუნვით და გრძელვადიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფით, დასაქმებაში და

საზოგადოებაში მონაწილეობის და ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობით და ა.შ. დაბერებული მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ინიციატივა ასევე ხელს უწყობს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემების სერვისების გრძელვადიან მდგრადობას ინოვაციური და ეკონომიური ტექნოლოგიების გაძლიერების გზით.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და 2019-2022 წლებში მიმდინარე პროექტი „EU4 დიგიტალური ინოვაციებისთვის” მიზნად ისახავდა არა მხოლოდ ევროკავშირის ფარგლებში, არამედ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში, საზოგადოების სხვადასხვა სერვისების ჰარმონიზაციას ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად დიგიტალიზაციის ჭრილში, თუმცა დოკუმენტში სამოქმედო ჯგუფების ნაწილში ასახვა ჰქონდა ვარდნის პრევენციამ და მისმა აუცილებლობამ. 2020 წელს გამოცემულ ანგარიშში „The European Innovation Partnership on Active and Healthy Ageing (EIP on AHA)” ხაზგასმულია ვარდნის თავიდან აცილების აუცილებლობა „პირადი ჯანმრთელობის მენეჯმენტის გაუმჯობესების მიზნით ვერიფიცირებული პროგრამებისა და კარგი პრაქტიკის ხელშეწყობის გზით, ადრეული დიაგნოზისა და პრევენციული ზომების განხორციელებისთვის” (EC, 2022.)

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით მიერ დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში ვარდნასთან დაკავშირებული მონაცემების ნაკლებობაა, რაც შეფერხებას ქმნის სათანადო პრევენციული პროგრამების შემუშავებაში (WHO., 2021).

საქართველოში ანალოგიური კვლევები არ არის ჩატარებული. ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანებების პრევენციის ეფექტური და ქვეყნისთვის სპეციფიური სტრატეგიის იდენტიფიცირებისთვის, მნიშვნელოვანია ხანდაზმულ მოსახლეობაში ვარდნასთან ასოცირებული ტრავმული დაზიანებების მასშტაბის, ტენდენციის, ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა და 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ვარდნის რისკების და ტრავმატიზმის პრევენციის მიმართ დამოკიდებულებების გამოვლენა.

## II. კვლევის მიზნები და ამოცანები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანებების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა და ამავე ასაკობრივ კატეგორიაში ვარდნის რისკების აღქმის და ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანებების პრევენციის მიმართ დამოკიდებულებების შეფასება. კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ✓ საქართველოს 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის ზოგადი ტენდენციების გამოვლენა;
- ✓ ვარდნის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა (ასაკი, სქესი, რეგიონი, სეზონურობა, ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობა, ჰოსპიტალიზაციის გამოსავალი);
- ✓ ცვლადებს შორის დამოკიდებულებების შეფასება;
- ✓ ქ. თბილისის 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ვარდნის და ტრავმული დაზიანების მიღების გამოცდილების გამოვლენა;
- ✓ ვარდნის და ტრავმული დაზიანების მიღების რისკ-ფაქტორების შეფასება;
- ✓ ტრავმატიზმის პრევენციის მიმართ ქცევა-დამოკიდებულებების შესწავლა;
- ✓ ტრავმატიზმის პრევენციის განათლებითი კომპონენტის მიმართ მზაობის გამოვლენა.

### 2.1 ნაშრომის მეცნიერული სიახლე:

კვლევა წარმოადგენს საქართველოს 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანებების პირველ კომპლექსურ კვლევას.

- ✓ პირველად არის შესწავლილი საქართველოს 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის ზოგადი ტენდენციები 2015-2021 წლებში და გამოვლენილია ძირითადი ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები;
- ✓ პირველად არის შესწავლილი საქართველოს 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ვარდნის და ტრავმული დაზიანებების მიღების რისკ-ფაქტორები და პრევენციის მიმართ ქცევა-დამოკიდებულებება.

## 2.2 პრაქტიკული ღირებულება.

ჩატარებული კვლევით მიღებული შედეგები წარმოადგენს პრაქტიკულ ღირებულებას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროს, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემის წარმომადგენლებისთვის. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანებების სათანადო პრევენციული ღონისძიებების დაგეგმა და განხორციელება, საქართველოს ხანდაზმული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

კვლევის ორივე ეტაპი განხორციელდა NIH (აშშ) ფოგარტის საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტის iCREATE – Increasing Capacity in Injury Research in Eastern Europe ფარგლებში. პროექტში ჩართულია სულ ხუთი ქვეყანა. პროექტის კოორდინატორი ქვეყნები არიან აშშ და რუმინეთი, ხოლო პარტნიორი ქვეყნები: საქართველო, სომხეთი და მოლდოვეთის რესპუბლიკა. სწორედ ამიტომ, ჩვენს მიერ გლობალურ დონეზე ზოგიერთი ტრენდის და სტატისტიკური მონაცემების განხილვისას აქცენტს ზემოთდასახელებულ ქვეყნებზე გავაკეთეთ.

### III. ლიტერატურის მიმოხილვა

#### 3.1 მოსახლეობის დაბერების ტენდენციები: ევროპის რეგიონი და საქართველო

ევროპის რეგიონში მოსახლეობის დაბერება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. სტატისტიკური პროგნოზების მიხედვით მოსალოდნელია სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის ტენდენციის შენარჩუნება. ევროპის რეგიონში მომდევნო 50 წლის განმავლობაში 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხვი გაორმაგდება, ხოლო 80 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა თითქმის სამჯერ გაიზრდება (CEB, 2014), (EC, 2022.) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც მოსახლეობის დაბერების ტენდენციის პარალელურად იკვეთება, ეს არის გენდერული თანაფარდობის თავისებურება. 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის სტრუქტურაში ჭარბობენ ქალები და თანაფარდობა ქალების უპირატესობით მატულობს უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში. ევროსაბჭოს განვითარების ბანკის პროგნოზული მონაცემების მიხედვით საქართველოშის დაახლოებით იგივე ტენდენციებია მოსალოდნელი (CEB, 2014) 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხვი თითქმის გაორმაგდება და ამ ასაკობრივი ჯგუფის წილი 2060 წელს 2010 წელთან შედარებით 14%-დან გაიზრდება 27%-მდე, ხოლო 80 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობაც თითქმის სამჯერ გაიზრდება და ამ ასაკობრივი ჯგუფის წილი 2060 წელს 2010 წელთან შედარებით 3%-დან გაიზრდება 8%-მდე (იხ. ცხრილი N1).

**ცხრილი 1. მოსახლეობის რაოდენობა და სტრუქტურა, პროგნოზული მაჩვენებელები**

პროგნოზული მაჩვენებლები	2060 წელი	ცვლილება 2010-2060 წწ.
მოსახლეობის რაოდენობა (მლნ)	3,42	-0,97
0-14 ასაკობრივი ჯგუფის წილი	16%	-1%
15-64 ასაკობრივი ჯგუფის წილი	57%	-11%
65 + ასაკობრივი ჯგუფის წილი	27%	+13%
80 + ასაკობრივი ჯგუფის წილი	8%	+5%

წყარო: (CEB, 2014)

ევროსაბჭოს განვითარების ბანკის პროგნოზული მაჩვენებლების მიხედვით 2060 წლამდე გაგრძელდება საქართველოს მოსახლეობაში 65 წლის და მეტი ასაკის

მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ტენდენცია 0-64 ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის რაოდენობის შემცირების პარალელურად, ევროპის რეგიონის არსებული ტენდენციის ანალოგიურად საქართველოს მოსახლეობაც სწრაფად ბერდება. ეროვნული ოფიციალური მონაცემები ადასტურებენ, რომ 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი საქართველოს მოსახლეობის საერთო სტრუქტურაში თითქმის უახლოვდება ევროპულ მაჩვენებელს და შეადგენს 15,2%-ს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის 3688,6 ათასი. 2021 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალო წლიურმა რიცხოვნობამ შეადგინა 3708,6 ათასი, მამაკაცების და ქალების შემდეგი თანაფარდობით 1,783.1 ათასი/1,925.5 ათასი (იხ. ცხრილი N2).


#### *ცხრილი 2. საქართველოს მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა, 2021 წელი*

ასაკი	საქართველო, 2021 წელი		
	ორივე სქესი	კაცი	ქალი
<b>სულ მოსახლეობა</b>	<b>3,708.6</b>	<b>1,783.1</b>	<b>1,925.5</b>
0	46.1	24.0	22.1
1-4	203.0	105.1	98.0
5-9	270.7	140.5	130.3
10-14	246.1	128.8	117.3
15-19	204.9	108.5	96.3
20-24	212.7	112.1	100.6
25-29	228.6	117.2	111.4
30-34	271.0	135.6	135.5
35-39	263.3	131.4	131.9
40-44	241.3	119.4	121.9
45-49	233.7	115.3	118.4
50-54	228.0	109.6	118.4
55-59	246.9	114.5	132.5
60-64	242.8	107.5	135.3
65-69	200.3	83.4	116.9
70-74	154.7	59.9	94.7
75-79	80.8	28.7	52.1
80-84	90.5	29.0	61.6
85+	43.1	12.7	30.4

წყარო: (სსეს, 2023)

ევროპის რეგიონის ანალოგიურად საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურაშიც იკვეთება ანალოგიური გენდერული თავისებურება. საქართველოშიც 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის სტრუქტურაში ჭარბობენ ქალები. უკანასკნელი სამი დეკადის განმავლობაში მკაფიოდ იკვეთება მოსახლეობის დაბერების ტენდენცია. 2022 წელს 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილმა შეადგინა 15,5%, მაშინ როდესაც 1994 წელს ის შეადგენდა 10,5%-ს.


**დიაგრამა 1. 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, საქართველო, 1994-2022წწ.**



წყარო: (საქსტატი, 2023)

65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის ოდენობით საქართველო ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე ახლოს არის ისლანდიის (14,86), ირლანდიის (14,81), ლუქსემბურგის (14,68), ახალი ზელანდიის (15,99) მაჩვენებელთან და ნაკლებია ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით (20,97).

**სურათი 1.65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის მაჩვენებლები სხვადასხვა ქვეყნებში.**



წყარო: (OECD, 2023)

თუ ცალკე განვიხილავთ თბილისის მოსახლეობას (2021 წელს საშუალო რიცხოვნობა იყო 1201,8 ათასი), რაც შეადგენს საქართველოს მოსახლეობის 32,4%-ს, საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურის ანალოგიურად თბილისში მცხოვრები 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი თბილისის მოსახლეობის საერთო სტრუქტურაში შეადგენს 14,36%-ს ( $n=172.701$ ) და ამ ასაკობრივ ჯგუფში ჭარბობენ ქალები (იხ. ცხრილი N3).

ამგვარად, საქართველოში მკაფიოდ იკვეთება 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის ზრდის ტენდენცია, რასაც თან ახლავს ქალების უპირატესობით გენდერული თანაფარდობა. საქართველოს მოსახლეობის დაბერების გაგრძელების ტენდენცია დღის წესრიგში აყენებს 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და კეთილდღეობაზე ზრუნვის აუცილებლობას, ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის დამახსიათებელი დაავადებების, მათი რისკ-ფაქტორების და პრევენციის გზების შესწავლის მიმართულებით.

ცხრილი 3 თბილისის მოსახლეობა, 2021 წელი

ასაკი	თბილისი, 2021 წელი		
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
სულ	1,202.250	572.935	629.315
0	15.578	8.079	7.499
1-4	69.082	35.694	33.388
5-9	86.044	45.051	40.993
10-14	78.624	41.222	37.402
15-19	69.554	36.250	33.304
20-24	75.462	38.372	37.090
25-29	76.807	35.654	41.153
30-34	88.687	40.584	48.103
35-39	88.587	41.878	46.709
40-44	82.571	38.932	43.639
45-49	74.332	34.348	39.984
50-54	69.170	32.573	36.597
55-59	74.881	33.873	41.008
60-64	80.170	38.665	41.505
65-69	73.379	33.112	40.267
70-74	50.523	20.693	29.830

75-79	21.399	9.128	12.271
80-84	21.087	7.222	13.865
85+	6.313	1.605	4.708

წყარო: (საქსტატი, 2023)

### 3.2 ვარდნის დეფინიცია და ISD-10 კოდები


ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ვარდნა განისაზღვრება, როგორც მოვლენა, რომლის შედეგადაც ადამიანი უნებლიერ ეცემა იმავე დონეზე (მიწაზე ან იატავზე) ან სხვა უფრო ქვედა დონეზე. დაცემასთან დაკავშირებული დაზიანებები შეიძლება იყოს ფატალური ან არაფატალური (WHO., 2021), (WHO, Falls, Geneva, 2018) დაავადებების საერთაშორისო კლასიფიკაციის (ISD-10 კოდების) მიხედვით ვარდნა (W000-W019 კოდები) კლასიფიცირებულია, როგორც დაავადების განვითარების ან სიკვდილის გარეგანი მიზეზი (WHO, 2019).

### 3.3 ვარდნის ტენდენციები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით გლობალურად ყოველწლიურად ვარდნასთან ასოცირებულ დაახლოებით 37.3 მილიონ შემთხვევას ესაჭიროება სამედიცინო ჩარევა. ტრავმის შედეგად მიღებული დაზიანებებიდან, სწორედ ვარდნით გამოწვეული სიკვდილიანობა არის მეორე ადგილზე.

ვარდნის გლობალური ტვირთის 2017 წლის შეფასებით ინციდენტობის ყველაზე მაღალი ნიშნულები გლობალურ დონეზე აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებშია (სურათი N2).


სურათი 2. ინციდენტობის მაჩვენებელი (100000 მოსახლეობაზე), 2017წ.



წყარო: (Haagsma JA, et al., 2020)

ჯანმრთელობის მეტრიკისა და შეფასების ინსტიტუტის (IHME) მიერ ჩატარებული დაავადების გლობალური ტვირთის (GBD) კვლევის შედეგების მიხედვით გლობალურ დონეზე ტრავმული დაზიანებების სტრუქტურაში ვარდნა 2019 წელს წარმოადგენდა დაზიანებებთან დაკავშირებული უნარშეზღუდულობით გატარებული სიცოცხლის წლების მაჩვენებლის (DALYs) მეორე წამყვან განმსაზღვრელ მიზეზს (საგზაო ტრავმატიზმის -29,3% ვარდნა -15,8%).


დიაგრამა 2. გლობალური DALY დაკავშირებული ყველა ტრავმასთან 100000 მოსახლეზე (%), 2019წ



წყარო: (IHME, 2023)

IHME-ის მონაცემებით, საქართველოში ვარდნასთან დაკავშირებული DALY აღემატება როგორც გლობალურ მაჩვენებელს, ასევე WHO-ს ევროპის რეგიონის მაჩვენებელს.

### დიაგრამა 3. ვარდნასთან დაკავშირებული DALY 100000 მოსახლეზე



წყარო: (IHME, 2023)

2019 წელს 1990 წელთან შედარებით საქართველოში მაჩვენებელი შემცირებულია გლობალურად და ჯანმოს რეგიონის ანალოგიურად.


### ცხრილი 4. 1990 წ და 2019 წ DALY-ს მაჩვენებელი

რეგიონი/ქვეყანა	1990	2019	ცვლილება (%)
გლობალურად	500,1	508,7	-1,7
ჯანმო ევროპის რეგიონი	786,2	836,2	-6,4
სომხეთი	727,2	372,3	48,8
საქართველო	730,9	849,8	-16,3
მოლდოვა	836,6	707,3	15,5
რუმინეთი	1150,5	945,2	17,8
აშშ	501,5	684,0	-36,4

წყარო: (IHME, 2023)

საქართველოში DALY-ს მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე აღემატება იმ ქვეყნების ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს შემოსავლის მიხედვით, რომელსაც ის მიეკუთვნება.

დიაგრამა 4. ვარდნასთან დაკავშირებული DALY 100 000 მოსახლეზე შემოსავლის მიხედვით, 2019წ.



წყარო: (IHME, 2023)

ადამიანის ასაკი წარმოადგენს ვარდნის რისკის განმაპირობებელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს. (Sleet DA & Baldwin, 2014), (WHO, Falls., 2021), (WHO, Falls, Geneva, 2018). 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში ვარდნის პრევალენტობა აშშ-ში შეადგენს 30%-ს, იაპონიაში-13,7%-ს, ჩინეთში-26,4%-ს, ინდოეთში-53%-ს 40. კვლევებით დადასტურებულია, რომ პრევალენტობა უფრო მაღალია ქალებში მამაკაცებთან შედარებით, განსაკუთრებით მაღალ ასაკობრივ ჯგუფში. (A Johansson J, Nordström A, & Nordström, 2016).

ვარდნას აშშ-ში პირველი ადგილი უკავია ტრავმების არაფატალურ მიზეზებს შორის. CDC-ს მონაცემების მიხედვით აშშ-ში ყოველწლიურად მიღიონობით 65 წელზე უფროსი ასაკის ადამიანი ეცემა. (Bergen G, Stevens MR, & Burns, 2016) ოთხი ხანდაზმულიდან ერთზე მეტი ეცემა ყოველწლიურად. ვარდნის გამოცდილება აორმაგებს ხელახლა დაცემის შანსს. (O'Loughlin, 1993). ყოველწლიურად 3 მიღიონი ხანდაზმული მიმართავს გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტს ვარდნის გამო (O'Loughlin, 1993) ვარდნით გამოწვეული დაზიანების გამო აშშ-ში ყოველწლიურად საჭიროა დაახლოებით 800.000 პაციენტის ჰოსპიტალიზაცია (CDC, 2016). დიდ ბრიტანეთში საერთაშორისო ორგანიზაციის „Cochrane“ მიერ ჩატარებულმა

კვლევამ გამოავლინა, რომ ქვეყნის მასშტაბით ყოველწლიურად ეცემა 65 წელზე უფროსი ასაკის ადამიანების დაახლოებით 30% და აქედან ყოველი მე-5 შემთხვევა საჭიროებს სამედიცინო ჩარევას. (Gillespie LD, et al., 2012)

კვლევებმა დაადასტურეს, რომ ვარდნის დროს დაზიანების მძიმე ხარისხის მიღების ან სიკვდილის ყველაზე დიდი რისკის ქვეშ არიან უფროსი ასაკის ადამიანები და ამ რისკის მასშტაბი ასაკის მატებასთან ერთად იზრდება. (WHO, Global report on falls prevention in older age, 2008), (WHO, 2021), (WHO, Falls, Geneva, 2018) 85 წელზე უფროსი ასაკის მქონე ადამიანებში 4-ჯერ მეტია ვარდნის გამო გადაუდებელი დახმარების განყოფილებებში მოხვედრის შემთხვევები 65-74 წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით და 5-9-ჯერ უფრო მეტია ვიდრე დანარჩენ ზრდასრულ ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით.

პოლონეთში ჩატარებული კვლევების მიხედვით, 65 წელზე უფროსი ასაკობრივი ჯგუფის ადამიანებმა შეადგინეს მოსახლეობის 13%, (Buczak-Stec E & Goryński, 2013;) მათ შორის ვარდნით გამოწვეული ჰისპიტალიზაცია დასჭირდა 65 წელზე უფროსი ასაკობრივი ჯგუფის 10%-ს. (Buczak-Stec E & Goryński, 2013;)

ვარდნით გამოწვეული სიკვდილიანობა აზის ქვეყნებში 17.2-36.8%-ს შეადგენს. ვარდნით გამოწვეული ტრავმების 15% საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას.

### 3.4 ვარდნის რისკ-ფაქტორები

ვარდნის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება და მათზე ზემოქმედება დაცემის რისკის შემცირების მიზნით. ვარდნა შესაძლებელია გამოწვეული იყოს ერთი ან რამდენიმე რისკ-ფაქტორის კომბინაციით.

არსებობს რისკ-ფაქტორების სხვადასხვა კლასიფიკაცია. NARI-ის კლასიფიკაციის მიხედვით ვარდნის რისკ-ფაქტორების ძირითადად ორ ჯგუფშია გაერთიანებული: შინაგანი და გარეგანი. (Stevens, Mahoney, & Ehrenreich, 2014), (WHO, Global report on falls prevention in older age, 2008)

შინაგანი რისკ-ფაქტორების ჯგუფში შედის: ასაკი, სქესი, სისუსტე ფეხებში, წონასწორობის დარღვევა და მხედველობის დაქვეითება. გარეგანი რისკ-ფაქტორების ჯგუფში შედის გარემოში არსებული საფრთხეები.


*ცხრილი 5. NARI-ის კლასიფიკაციის მიხედვით, შინაგანი და გარეგანი რისკ-ფაქტორები*

შინაგანი რისკ-ფაქტორები	გარეგანი რისკ-ფაქტორები
ასაკი	გარემოს საფრთხეები
სქესი	გარემოსთან ინტერაქცია
ცნობიერების დარღვევები	
წონასწორობის დარღვევა	
მხედველობის დაქვეითება	
ანტიდეპრესანტული მედიკამენტებით მკურნალობა	
მედიკამენტის გვერდითი ეფექტი	
რამდენიმე მედიკამენტის ერთდროულად მიღება	
წარსულში ვარდნის გამოცდილება	

წყარო: (NARI, 2023)

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2007 წლის ანგარიშში გამოქვეყნებული კლასიფიკაციის მიხედვით ვარდნის რისკები ოთხ ჯგუფშია გაერთიანებული: ბიოლოგიური რისკები (მაგალითად ასაკი, სქესი, რასა, ქრონიკული დაავადებები), ქცევითი რისკები (მაგალითად ალკოჰოლის მიღება, რამდენიმე მედიკამენტის მიღება, არაკომფორტული ფეხსაცმელებს ტარება), გარემოს რისკები (საცხოვრებელის ცუდი დიზაინი, კიბეები, სრიალა იატაკი, ცუდი განათება) და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები (ცუდი განათლება, დაბალი შემოსავალი, ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა და სხვა).

## სქემა 1. ვარდნის რისკები



წყარო: (WHO, Global report on falls prevention in older age, 2008)

ცხრილი 6. მედიკამენტები, რომლებიც დაკავშირებულია ვარდნის გამომწვევ მიზეზებთან

წამლები, რომლებიც დაკავშირებულია დაცემასთან, რაც იწვევს პოსტურალურ ჰიპოტენზიას	ნარკოტიკები რომლებიც იწვევენ ვარდნას
ნიტრატები	ბენზოდიაზეპინები
ანგიოტენზინ-გარდამქმნელი ფერმენტის (ACE) ინჰიბიტორები	ანტიფსიქოზური საშუალებები, მაგ. ჰალოპერიდოლი
დიურეტიკები	ოპიატები
ანტიქლინერგები	კოდეინის შემცველი ანალგეტიკები
L- დოფა	ანტიკონვულსანტები
შედედების საწინააღმდეგო საშუალებები	დიგოქსინი (უცნობი)
ანტიდეპრესანტები, განსაკუთრებით ტრიციკლური და სეროტონინის უკუმიტაცების შერჩევითი ინჰიბიტორები (SSRIs)	კლასი 1a ანტიარითმიული საშუალებები (უცნობი)

წყარო: (Anderson, 2008)

კვლევებით დადგინდა, რომ ვარდნის ალბათობა იზრდება რამდენიმე რისკ ფაქტორის თანხვედრის შემთხვევაში. ასაკოვან ადამიანებში ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ ვარდნის შემთხვევები სწორხაზოვნად იზრდება რისკ ფაქტორის რაოდენობის მატებასთან ერთად. დაცემის ალბათობა ერთი რისკ ფაქტორის გამო 19%-დან იზრდება 32%-მდე ორი რისკ ფაქტორის შემთხვევაში,

60%-მდე სამი რისკ ფაქტორის შემთხვევაში და 78%-მდე ოთხი და მეტი რისკ ფაქტორის შემთხვევაში (De Grauw X, Annest JL, Stevens JA, Xu L, & Coronado, 2015), (Haddad Y, Shakya I, Moreland B, Kakara R, & Bergen, 2020), (Kakara, Moreland, Haddad, Shakya, & Bergen, 2021), (Moreland, Burns, & Haddad, 2022), (Moreland B, Kakara R, Haddad Y, Shakya I, & Bergen, 2020), (Moreland B, Legha J, Thomas K, & Burns, 2022), (Moreland B, Shakya I, & Idaikkadar, 2022), (Moreland, Burns, & Haddad, 2021)74, (Ramakrishna K, Moreland B, Haddad Y, Shakya I, & Bergen, 2015), (Shakya I, Bergen G, Haddad YK, Kakara R, & Moreland, 2020), (Soomar SM & Dhalla, 2023)

მნიშვნელოვანია ფსიქო-ემოციური პრობლემები, რომლებიც ვარდნის შედეგად ჩნდება (Kiyu, Halim, Pelitini, & Chong, 2021), (Isha Tajane, Julia Jossy, Priya Gupta, & Prachi, 2021) ვარდნის გამოცდილების შემდეგ ხანდაზმული ადამიანები კარგავენ რწმენას, უჩნდებათ შიში და შფოთვა და ამ ყველაფერმა შესაძლოა ადამიანი ყოველდღიური ნორმალური ცხოვრების მოტივაციის დაკარგვამდეც კი მიიყვანოს. (Nguyen HT, Nguyen, & Hoang, 2022)

დაცემის შიშმა შესაძლოა თავის მხრივ გაზარდოს ვარდნის რისკი. 2005 წელს ლაჩის კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ ვარდნასთან დაკავშირებული შიში ბოლო 2 წლის განმავლობაში 30.6%-დან 47.25%-მდე იყო გაზრდილი 65 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებში. (Anamica Batra, Michael Melchior, Laura Seff, Edgar Ramos Vieira, & Richard, 2013), (Bergen G, Stevens M, Kakara R, & Burns, 2019) ვარდნის რისკს ზრდის ასევე ფიზიკური სისუსტე, ჯანმრთელობის დაბალი თვითშეფასება და აგრეთვე ჯანმრთელობის ისეთი სტატუსი, როდესაც ადამიანს არ შეუძლია წონასწორობის დაცვა და დამოუკიდებლად გადაადგილება. (Anamica Batra, Michael Melchior, Laura Seff, Edgar Ramos Vieira, & Richard, 2013), (Bergen G, Stevens MR, & Burns, 2016)

### 3.5 ვარდნის პრევენცია 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში

ვარდნასა და მასთან ასოცირებული გართულებების პრევენციისთვის მნიშვნელოვანია ექიმთან ვიზიტის პროცესში პაციენტი გამოვითხული იქნას ბოლო წლის განმავლობაში ვარდნის ეპიზოდის არსებობის შესახებ, ასევე


წონასწორობის შენარჩუნებასა ან გადაადგილებაში არსებული პრობლემების შესახებ. იმ პაციენტებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ჰქონდათ ვარდნის მხოლოდ ერთი ეპიზოდი და არ აქვთ პრობლემა წონასწორობის დაცვასა და სიარულში, უნდა მიეწოდოთ ზოგადი ინფორმაცია დაცემის რისკებთან და მათ შემცირებასთან დაკავშირებით, მათ შორის ინფორმაცია მედიკამენტების მოხმარებასთან და გარემოში არსებულ რისკ-ფაქტორებთან მიმართებაში.

პაციენტებში, რომლებიც აღნიშნავენ ვარდნის ერთზე მეტ ეპიზოდს და პრობლემებს სიარულსა და წონასწორობის დაცვაში, აუცილებელია, რომ იდენტიფიცირდეს რისკ ფაქტორები და შეფასდეს რისკის შემცირების შესაძლებლობები. უნდა გადაიხედოს მიმდინარე მედიკამენტოზური მკურნალობის სქემა, გამოვლინდეს მედიკამენტი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ვარდნა უნდა იქნას შეწყვეტილი, ან დოზის კორექტირება უნდა მოხდეს ყველაზე დაბალ ეფექტურ დოზამდე. პაციენტებს უნდა ჩაუტარდეთ გამოკვლევები, რათა დაუდგინდათ რომელიმე ისეთი დაავადება, რომელიც ზრდის ვარდნის რისკს. დაავადების გამოვლენის შემთხვევაში საჭიროა მიზანმიმართულად მათი მკურნალობა ვარდნის რისკის შესამცირებლად, ეს შეიძლება იყო მაგალითად მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები, ისეთი დაავადებები, როგორიცაა ოსტეოპოროზი, პარკინსონის დაავადება, ართრიტი. სახლის პირობებში გარემო საფრთხის გამოსწორებამ შეიძლება შეამციროს ვარდნის რისკი. პაციენტებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია, თუ რა გააკეთონ ვარდნის შემთხვევაში, როცა ვერ ახერხებენ ადგომას. აუცილებელია ჰქონდეთ ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან ხშირი კონტაქტი, და ადვილად ხელმისაწვდომი ტელეფონი, დისტანციური სიგნალიზაცია ან გადაუდებელი რეაგირების სისტემის მოწყობილობა. ყოველივე ამით შესაძლებელი იქნება ვარდნის რისკების და მასთან არსებული გართულებების თავიდან აცილება. ამ კატეგორიის პაციენტებისთვის უნდა არსებობდეს სპეციალური სავარჯიშო პროგრამები, რომლებშიც ჩართვა ხანდაზმული ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი იქნება. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს შეზღუდული აქვს მოძრაობა, უნდა არსებობდეს ფიზიკური ვარჯიშების და თერაპიის სახლის პირობებში ჩატარების შესაძლებლობა. მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში ჩამოყალიბებულია ე.წ. ხანდაზმულთა ცენტრები,

ჯანმრთელობის კლუბები, რომლების სთავაზობენ ასაკოვან მოქალაქეებს ფიზიკური ვარჯიშების პროგრამებს. უმეტეს შემთხვევაში ამ ტიპის პროგრამები უფასოა ან სიმბოლური, მეტად დაბალი ფასი აქვთ. საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით ფიზიკური ვარჯიშების პროგრამების შემუშავება და უზრუნველყოფა წარმოადგენს ფიზიოთერაპევტის ფუნქციას და პასუხისმგებლობას. მათ მიერ ხდება ეფექტური სავარჯიშო პროგრამების შემუშავება, საჭიროების შემთხვევაში პაციენტზე ინდივიდუალურად შერჩეული პროგრამების განსაზღვრა. აღნიშნული პროგრამები ხელს უწყობენ პაციენტებს გამოუსწორდეთ წონასწორობის დაცვის უნარი, სიარულის მანერა და შეუძირდეთ რისკ-ფაქტორები, რომელიც ხელს უწყობენ ვარდნას. პროცესის სწორად მართვისთვის აუცილებელია, რომ სავარჯიშო პროგრამა შემუშავებული იყოს პროფესიონალის მიერ, მორგებული იყოს პაციენტის საჭიროებებზე და შეიცავდეს ბალანსის კომპონენტს. მნიშვნელოვანია ასევე ვარჯიშების სისტემატური ხასიათი და ხანგრძლივობა (საშუალოდ 4 თვე). მრავალრიცხოვანი კვლევებით დადგენილია, რომ ვარდნის შემცირებასთან ასოცირებული ხარჯებით დაზოგილი თანხა აღემატება ამ პროგრამების საფასურს. ასაკოვანი პაციენტები რიგ შემთხვევაში სარგებლობენ დამხმარე მოწყობილობით (მაგ. ყავარჯენი, საყრდენი). ფიზიოთერაპევტების ფუნქციაში შედის ასევე პაციენტისთვის დამხმარე აპარატის სწორი მორგება, ზომის შერჩევა და სწორი გამოყენების სწავლება. გასათვალისწინებელია პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებები და დამხმარე მოწყობილობის დანიშნულება. ყავარჯები შეიძლება ადეკვატური იყოს პაციენტებისთვის მინიმალური უნილატერალური კუნთის ან სახსრის დაზიანებით, მაგრამ საყრდენი (განსაკუთრებით ბორბლებიანი) უფრო გამოსადეგია პაციენტებისთვის, რომელთაც აქვთ ვარდნის მომატებული რისკი, რაც ბილატერალურად ფეხის სისუსტით ან დარღვეული კოორდინაციით არის გამოწვეული. ბორბლებიანი საყრდენი სახიფათოა მათთვის, ვინც არ იცის მისი სწორი მართვა. სამწუხაროდ, საქართველოში ხანდაზმული პაციენტებისთვის ამ ტიპის სერვისები პრაქტიკულად არ არის ხელმისაწვდომი. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავდა ვარდნის პრევენციის პროგრამა აქტიური დაბერებისთვის (WHO, Global report on falls prevention in older age, 2008)

## სქემა 2. დაცემის პრევენცია 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანებში

### დაცემის პრევენცია 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანებში



### წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

განვითარებულ ქვეყნებში ჩატარებულია მრავალრიცხოვანი კვლევები, რომელთა შედეგად გამოვლინდა ვარდნის რისკ-ფაქტორები და მათი თავიდან აცილების მიზნით დაისახა ვარდნის სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებები. აშშ-ში ჰავაის შტატში ჯანდაცვის დეპარტამენტის საინიაციატივო ჯგუფმა, ვარდნის შემთხვევების შესამცირებლად შეიმუშავა და განახორციელა არაერთი კოორდინირებული საზოგადოებრივი ინიციატივა ისეთი მიმართულებებით როგორიცაა: ასაკოვანი პოპულაციის მხედველობის შემოწმება, საცხოვრებელი ადგილის შემოწმება გარემო რისკ-ფაქტორების გამოვლენის და სათანადო ცვლილებების განხორციელების მიზნით, ფიზიკური აქტივობების ხელშეწყობა, მედიკამენტების მიღებისა და გვერდითი მოვლენების შესწავლა და ა.შ.

ინიციატივების ძირითად მიზანს წარმოადგენდა ასაკოვანი პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება ვარდნის თავიდან აცილების შესახებ და გაცნობიერება, რომ ასაკოვანი პირები ნამდვილად მიეკუთვნებიან ვარდნის რისკ ჯგუფს. საინფორმაციო კამპანიაში გამოყენებული იქნა პოზიტიური ლოზუნგები,

როგორიცაა: „შეინარჩუნეთ დამოუკიდებლობა“ და „კარგი ბალანსი“. პრევენციის პოპულარიზაცია ხდებოდა ბროშურებით, რეკლამებით, რადიოთი და ტელევიზიის სხვადასხვა არხებით. კამპანია ჩატარდა ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებული პროფესიონალების მაღალი ჩართულობით.

ვარდნის რისკის თავიდან აცილების სტანდარტული შემოთავაზებისგან განსხვავებით, რომელმა წარმოადგინა ვარდნის „პოპულაციური სტრატეგია“. იგი ამტკიცებს, რომ როდესაც რისკი ფართოდ არის გავრცელებული პოპულაციაში, მთელი მოსახლეობის ქცევაში მცირე ცვლილებების განხორციელება უფრო ეფექტურ შედეგებს გამოიღებს, ვიდრე დიდი ცვლილებები ადამიანთა მცირე ჯგუფში. ამდენად, მისი აზრით მხოლოდ ვარდნის მაღალი რისკის მქონე ადამიანებში მიზანმიმართული პროფილაქტიკური ჩარევები მინიმალურ გავლენას მოახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

წარმატებულ მიდგომად არის მიჩნეული ავსტრალიური პროგრამა, რომლის ლოზუნგია „დარჩი ფეხზე“. ეს არის 4 წლიანი მულტისტრატეგიული მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს რისკის ფაქტორების შეფასებას, ასაკოვან ადამიანებში ვარდნასთან დაკავშირებულ ცოდნის ამაღლებას და სარისკო ქცევის შეცვლის ხელშეწყობას.

გერმანიის ქალაქ როიტლინგენში ჩატარდა ვარდნის პრევენციისკენ მიმართული ფართომასშტაბიანი კამპანია. კვლევების შედეგად გამოვლენილი იქნა ვარდნის მრავალი რისკ ფაქტორი, რის საფუძველზეც ჩატარდა სათანადო მთელი რიგი ეფექტური ღონისძიებები (მათ შორის სხვადასხვა სახის ვარჯიშები, გარემოში მავნე ფაქტორების განეიტრალება, მხედველობის გაუმჯობესება). (Booth, Hood, & Kerney, 2016)

კვლევებით დადგენილია, რომ სპეციალური ვარჯიშები (მეცადინეობები) ვარდნის პროფილაქტიკის გამო ადაპტირებული უნდა იყოს სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან. ეს სერვისი შეიძლება მოწოდებულ იქნას სხვადასხვა სპორტული კლუბების, საქველმოქმედო და სამედიცინო ორგანიზაციების მიერ სპორტულ დარბაზებში, მოხუცებულთა თავშესაფრებში, კერძო სახლებში და ა.შ. ამ ტიპის მეცადინეობები აუცილებლად უნდა ჩატარდეს სხვადასხვა პროფილის

პროფესიონალით (თერაპევტი, ექთანი და ინსტრუქტორი) დაკომპლექტებული გუნდის მიერ. ცნობილია, რომ კოგნიტური დარღვევები (მაგ. დემენცია) წარმოადგენენ ვარდნის რისკ-ფაქტორს, ამიტომ დიდ ბრიტანეთში შეიმუშავეს სტრატეგია, რომელიც მიმართული იყო კომბინირებულად ასაკოვანი ადამიანების როგორც ფიზიკური, ისე კოგნიტური შესაძლებლობების გავარჯიშებისკენ. მრავალკომპონენტიანმა ჩარევამ (ფიზიკური და კოგნიტური კომპონენტების ვარჯიშები) დადებითად იმოქმედეს ხანდაზმულებში წონასწორობის აღდგენაზე, ფუნქციურ აქტივობაზე, სიარულის სისწრაფეზე. უნდა აღინიშნოს, რომ კომბინირებულმა მიდგომამ განსაკუთრებით დადებითი ეფექტი იქონია მცირედ გამოხატული კოგნიტური დარღვევების მქონე პაციენტებში. (Booth, Hood, & Kerney, 2016)

დანიაში ჩატარებულ კვლევებზე დაფუძნებით შემუშავებული იქნა ვარჯიშის ახალი მეთოდი, რომელიც ძირითადად ორიენტირებული იყო სიარულთან ადაპტაციის ვარჯიშებზე. მეთოდის გამოყენებამ გამოიღო დამაიმედებელი პროფილაქტიკური ეფექტი, კერძოდ ასაკოვან პირებში 42%-ით შეამცირა ვარდნა და შესაბამისად შეამცირა ვარდნასთან დაკავშირებული მოტეხილობები.

აღსანიშნავია, რომ ვარდნის პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს თავად ასაკოვანი ადამიანების მხრიდან. ამდენად, ამ პრობლემის გადასაჭრელად საკვანძო საკითხს მოტივაცია წარმოადგენს. სამწუხაროდ როგორც წესი, ასაკოვანი ადამიანები დიდი ენთუზიაზმით არ ერთვებიან ვარდნის პროფილაქტიკურ ღონისძიებებში და მათი მონაწილეობის ხარისხი ამგვარ აქტივობებში დაბალია.

შვეიცარიაში ჩატარდა რანდომიზირებული კლინიკური კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა კოგნიტურ-მოტორული ვარჯიშების პროგრამების ეფექტურობის შეფასებას და შედეგებზე დაფუძნებით შესაბამისი რეკომენდაციების გამოყენების შესაძლებლობას გერიატრიულ სტაციონარებში. კვლევამ გამოავლინა, რომ კოგნიტურ-მოტორული კომბინირებული ვარჯიშების პროგრამა არის უსაფრთხო, შესრულებადი და ეფექტური მიდგომა და ამ ფიზიკური ვარჯიშების ჩართვა გერიატრიული პაციენტების რეაბილიტაციის პროგრამაში შესაძლებლობას იძლევა პაციენტებში არა მხოლოდ ვარდნის რისკის შემცირებას, არამედ ამაღლებს

მოტივაციას პაციენტებში ვარჯიშების და ფიზიკური აქტივობის მიმართ და შესაბამისად ზრდის რეაბილიტაციის წარმატების შანსს. (Burns ER, Stevens JA, & Lee, 2016)

კვლევებით დადგენილია, რომ ზოგიერთი მედიკამენტი იწვევს ვარდნის შემთხვევების მომატებას, იმ ტიპის მედიკამენტების თანდადანობითი შემცირება და მოხსნა, რომლებიც ინიშნება მიღის მოწესრიგებისთვის, დამამშვიდებელი მიზნებით და დეპრესიის სამკურნალოდ, (ფსიქოტროპული მედიკამენტები) იწვევს ვარდნის შემთხვევების შემცირებას. ამ შემთხვევებს ამცირებს აგრეთვე კარდიოსტიმულატორის ჩადგმა პაციენტებში, ქალებში პირველი კატარაქტის ოპერაცია. ევროპული ქსელი ვარდნის პრევენციისთვის რეკომენდაციას უწევს ასაკოვანი ადამიანებისთვის ცოდნის ტრანსფერს და ცნობიერების ამაღლებას.

### **3.6 კლინიკურ პრაქტიკაში ვარდნის რისკების შეფასების საერთაშორისო მიდგომები და ეროვნული გაიდლაინი**

AGS/BGS-ამ (ამერიკული გერიატრიული საზოგადოება/ბრიტანული გერიატრიული საზოგადოება) გამოაქვეყნა კლინიკურ პრაქტიკაში ვარდნის რისკების შეფასებისა და მართვის სახელმძღვანელო, რომელიც იძლევა რეკომენდაციას, რომ მედიცინის მუშაკმა გამოკითხოს ყოველი ასაკოვანი ადამიანი იმის შესახებ, გასული ერთი წლის განმავლობაში ჰქონდა თუ არა ვარდნის ეპიზოდი. ხანდაზმული, ვისაც ჰქონდა ასეთი 2 ან მეტი შემთხვევა, ან უჭირთ სიარული ან წონასწორობის შენარჩუნება, საჭიროებს ვარდნის რისკის მრავალფაქტორიან შეფასებას. აღნიშნული შეფასება გულისხმობს ვარდნის ისტორიის (ანამნეზის) შეგროვებას, ყველა მედიკამენტის გადახედვას რასაც ღებულობს პაციენტი, სიარულის, წონასწორობის ნევროლოგიური ფუნქციების, ქვემო კიდურების კუნთების სიძლიერის, გულსისხლძარღვთა სისტემის და მხედველობის სიმახვილის შემოწმებას, ყოველდღიური აქტივობის, მათ შორის გადაადგილების საშუალებების, ფეხსაცმლის უსაფრთხოების, ვარდნის შიშის შეფასებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით შესაძლებელია განისაზღვროს სათანადო სამედიცინო-

პროფილაქტიკური მკურნალობა და პაციენტი გადამისამართებულ იქნას შესაბამის სპეციალისტებთან ასაკის შესაბამისი ვარჯიშების პროგრამაში ჩასართველად.

მთელს მსოფლიოში მიმდინარე მოსახლეობის „დაბერების“ ტენდენციიდან გამომდინარე გლობალურ დონეზე პრიორიტეტია 65 წლის და ზემოთ ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში პრევენციის ეფექტური მეთოდების დანერგვა.

საქართველოში ხანდაზმული პაციენტების ჯანმრთელობის დაცვა პირველადი ჯანდაცვის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს. ზოგად საექიმო პრაქტიკაში 65 წლის ზემოთ ასაკის პირთა რეგულარული სამედიცინო მეთვალყურეობის გაიდლაინი, (საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი, 2009 წელი) ითვალისწინებს ხანდაზმულთა ცხოვრების ხარისხის შენარჩუნების, უნარშეზღუდულობისა და დამოკიდებულების პრევენციის მიზნით ზემოთ აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის პირთა რეგულარულ სამედიცინო მეთვალყურეობას. ხანდაზმულებში გავრცელებულ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ვარდნა და ტრავმატიზმია. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული „ზოგად საექიმო პრაქტიკაში 65 წლის ზემოთ ასაკის პირთა რეგულარული სამედიცინო მეთვალყურეობის“ გაიდლაინი წარმოადგენს სახელმძღვანელოს პაციენტებში მობილურობისა და ფიზიკური აქტივობის უნარის შესაფასებლად მარტივი ტესტებით, როგორიცაა: მანუალური დათვლის, სწრაფი სიარულის და სკამიდან წამოდგომის ტესტი, აგრეთვე დაცემის რისკის შეფასების ტესტი „ადექტი და წადი“ და „სტატიკური ბალანსის ტესტს“ (რომბერგის მოდიფიცირებულ ტესტი). ხანდაზმული პაციენტის ფუნქციური სტატუსის განსაზღვრის პროცესში მობილობის გარდა ფასდება ყოველდღიური საქმიანობის დამოუკიდებლად შესრულების უნარიც, რაც ეფუძნება კარტზის ინდექსის განსაზღვრას.

შეფასების შედეგადაც ხდება იმ პირთა იდენტიფიცირება, ვისაც აღენიშნება მობილობისა და ფუნქციონირების მკვეთრი შეზღუდვა და ამის გამო მაღალია მისი დაცემის რისკი. დროული ჩარევით და შესაფერისი სარეაბილიტაციო ღონისძიებებით შესაძლებელია ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანებების და მძიმე შემთხვევების თავიდან აცილება. დაცემისა და მოტეხილობების


პრევენციისთვის საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული აღგორითმი წარმოდგენილია დანართში სქემაზე.

პროტოკოლის მიხედვით ხანდაზმულთა რეგულარული მეთვალყურეობა რეკომენდებულია შემდეგი სქემით: 65-74 წლის პაციენტებში 3 წელიწადში ერთხელ, ხოლო 75 წლის და ზემოთ პაციენტებში - წელიწადში ერთხელ. (იხილეთ დანართი 1)

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, (მათ შორის მაგალითად საქართველო, სომხეთი, მოლდოვას რესპუბლიკა), სადაც ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სექტორი, ასევე კეთილდღეობის სისტემა ჯერ კიდევ განვითარებად რეჟიმშია, გაბატონებული კულტურა არის თაობათაშორისი სოლიდარობა და თანაცხოვრება მრავალთაობათა შინამეურნეობებში. მშობლებისა და ოჯახის ხანდაზმული წევრების პატივისცემისა და ზრუნვის კულტურული ნორმის მქონე ქვეყნებში, ოჯახის წევრები უზრუნველყოფები ზრუნვას, გარდა ამისა, ამ ქვეყნებში ხანდაზმულთა მოვლა განიცდის არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის ინვესტიციების, არამედ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ინოვაციური პრაქტიკის ნაკლებობას.

## IV. კვლევის ეტაპები

კვლევა შედგებოდა ორი ეტაპისგან. კვლევის პირველ ეტაპზე დამუშავებული იქნა ჰისკიტალიზაციის ბაზა (დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემები). მეორე ეტაპზე ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა (სქემა N3).



### სქემა 3. კვლევის ეტაპები

კვლევის პირველ ეტაპზე შევისწავლეთ საქართველოში 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ვარდნით გამოწვეული ჰისკიტალიზაციის ზოგადი ტენდენციები და ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები, ხოლო კვლევის მეორე ეტაპზე ჩავატარეთ გამოკითხვა 65 წლის და მეტი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში.

### 4.1 კვლევის პირველი ეტაპი

#### 4.1.1 მიზანი და ამოცანები

კვლევის პირველი ეტაპის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოში 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ვარდნით გამოწვეული ჰისკიტალიზაციის ზოგადი ტენდენციების და ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა. კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ✓ 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ვარდნის ზოგადი ტენდენციის გამოვლენა;
- ✓ 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ვარდნის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა (ასაკი, სქესი, რეგიონი, სეზონურობა, ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლიბობა, ჰოსპიტალიზაციის გამოსავალი);
- ✓ ცვლადებს შორის დამოკიდებულებების შეფასება.

#### **4.1.2 კვლევის მეთოდები**

კვლევის პირველ ეტაპზე გამოყენებული იქნა რეტროსპექტული ობსერვაციული კვლევა (რაოდენობრივი კვლევა). კვლევისათვის გამოვიყენეთ დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 7 წლის (2015-2021წწ) მონაცემები. მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი განხორციელდა SPSS პროგრამული პაკეტი მე-20 ვერსიის გა მოყენებით.

#### **4.1.3 კვლევის ეთიკური ასპექტები**

კვლევის პირველ ეტაპზე დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან მიღებული მონაცემები არ მოიცავდა პიროვნების იდენტიფიკაციისთვის შესაძლებელ მონაცემებს, ამდენად ეთიკის გაიდლაანების შესაბამისად მოცემული ეტაპი არ მოითხოვნა ეთიკის კომიტეტის თანხმობას.

#### **4.1.4 კვლევის პირველი ეტაპის შედეგები**

2015-2021 წლებში 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ყველა მიზეზით ჰოსპიტალიზაციის რაოდენობამ შეადგინა 47456 შემთხვევა, აქედან ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის წილი შეადგენს საშუალოდ 63%-ს. წლების მიხედვით ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის წილი მერყეობს 59%-დან (2020 წელი) 66% მდე (2017 წელი) (ცხრილი N7).


ცხრილი 7. 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ყველა მიზეზით და ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, საქართველო, 2015-2021წწ.

წლები	ყველა დიაგნოზით ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა	ყველა დიაგნოზით ჰოსპიტალიზაციის უხეში მაჩვენებელი 100,000 მოსახლეზე	ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის წილი	ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის წილი, უხეში მაჩვენებელი 100,000 მოსახლეზე
2015	5091	958.2	65%	626.0
2016	5610	1045.7	65%	677.6
2017	6742	1250.1	66%	829.6
2018	7186	1315.6	63%	826.2
2019	8345	1509.9	62%	933.4
2020	7167	1275.9	59%	748.8
2021	7315	1286.6	60%	771.1
<b>სულ</b>	<b>47456</b>	<b>1237.0</b>	<b>63%</b>	<b>774.1</b>

წყარო: (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

ყველა დიაგნოზით და ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის წილი 2015-დან 2019 წლამდე მატულობდა, რაზეც მიუთითებს უხეში მაჩვენებლების ზრდა ამ წლებში ( $\text{Chi}^2=110.2$ ;  $p<0.001$ ). თუმცა 2020 და 2021 წწ.-ებში როგორც ვარდნით, ისე ყველა დიაგნოზით ჰოსპიტალიზაციის უხეში მაჩვენებელი მკვეთრად სარწმუნოდ ქვეითდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვარდნით გამოწვეული და ყველა დიაგნოზით ჰოსპიტალიზაციის უხეში მაჩვენებლები სარწმუნო კორელაციაში არიან ( $R^2 = 0.91$ ,  $p<0.001$ ). 2015-2021 წლებში 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობამ შეადგინა 43.740 შემთხვევა, აქედან ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის წილი შეადგენს საშუალოდ 68%-ს (დიაგრამა N5).

დიაგრამა 5. ტრავმული დაზიანებით და ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა, საქართველო, 2015-2021წწ.



**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

წლების მიხედვით ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის წილი მერყეობს 65%-დან (2020 წელი) 70% მდე (2017 წელი) (ცხრილი N8).

ტრავმული დაზიანებით და ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის წილი 2015-დან 2019 წლამდე მატულობდა, რაზეც მიუთითებს უხეში მაჩვენებლების ზრდა ამ წლებში ( $\text{Chi}^2=25.8$ ;  $p<0.001$ ). თუმცა 2020 და 2021 წწ.-ებში როგორც ვარდნით, ისე ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის უხეში მაჩვენებელი მკვეთრად სარწმუნოდ ქვეითდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვარდნით გამოწვეული და ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის უხეში მაჩვენებლები სარწმუნო კორელაციაში არიან ( $R^2 = 0.97$ ,  $p<0.001$ ).


ცხრილი 8. 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ტრავმული დაზიანებით და ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, საქართველო, 2015-2021წწ.

წლები	ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა	ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის უხეში მაჩვენებელი 100,000 მოსახლეზე	ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის წილი	ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის წილი, უხეში მაჩვენებელი 100,000 მოსახლეზე
2015	4832	909.4	69%	626.0
2016	5299	987.7	69%	677.6
2017	6375	1182.1	70%	829.6
2018	6581	1204.8	69%	826.2
2019	7632	1380.9	68%	933.4
2020	6454	1149.0	65%	748.8
2021	6567	1155.1	67%	771.1
სულ	43740	909.4	68%	774.1

**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

2015-2021 წლებში 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობამ შეადგინა 29697 შემთხვევა. შემთხვევათა რაოდენობა ხასიათდება მზარდი რაოდენობით 2015-2019 წლებში. ყველაზე დაბალი რაოდენობა დაფიქსირდა 2015 წელს (n=3326; 11%), ყველაზე მაღალი რაოდენობა დაფიქსირდა 2019 წელს (n=4206; 17%), 2020 წელს აღინიშნა კლება (n=4206; 14%), ხოლო 2021 წელს კვლავ მატება წინა წელთან შედარებით (n=4384; 15%) (დიაგრამა N6).


დიაგრამა 6. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა, საქართველო,  
2015-2021წწ.



წყარო: (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული  
ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

ანალოგიურად, 2015-2021 წლებში ინციდენტობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი  
დაფიქსირდა 2019 წელს (925,9) არა მხოლოდ ზოგადად 65 წლის და მეტ  
ასაკობრივ ჯგუფში, არამედ სქესობრივ ჯგუფებთან მიმართებაშიც (ქალებში -  
1035,4 და მამაკაცებში - 745,1) (დიაგრამა N7).


დიაგრამა 7. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის ინციდენტობის  
მაჩვენებელი, საქართველო, 2015-2021წწ.



წყარო: (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული  
ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

2015-2021 წლებში ჰოსპიტალიზებული პაციენტების 69% (n=20617) იყვნენ ქალები და 31% - მამაკაცები (n=9080) (Chi<sup>2</sup>=4482.1, p<0.001; დიაგრამა N8).

დიაგრამა 8. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, პაციენტების სქესობრივი სტრუქტურა, საქართველო, 2015-2021წწ.



**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

ქალების და მამაკაცების თანაფარდობამ შეადგინა 2:1. 2015-2021 წლებში ქალების და მამაკაცების თანაფარდობა პრაქტიკულად იდენტურია, ქალების წილი მერყეობს 68%-70%-ის ფარგლებში, შესაბამისად მამაკაცების წილია 32%-30% (ცხრილი N9). ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციისათვის სქესის ნიშნით შანსთა ფარდობის (Odds Ratio - OR) მაჩვენებელთა და 95%-იანი სანდოობის ინტერვალების (95% Confidence Intervals – 95%CI) ანალიზი აჩვენებს, რომ ქალებში ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის შანსი სარწმუნოდ მაღალია (p<0.001).

ცხრილი 9. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ქალების და მამაკაცების თანაფარდობა, საქართველო, 2015-2021წწ.


წელი	ქალები vs. მამაკაცები	
	OR	95%CI, p
2015	1.32	1.23-1.42, p<0.001
2016	1.40	1.31-1.51, p<0.001
2017	1.35	1.26-1.44, p<0.001
2018	1.39	1.31-1.48, p<0.001

2019	1.38	1.31-1.47, p<0.001
2020	1.38	1.29-1.48, p<0.001
2021	1.39	1.31-1.49, p<0.001
სულ	1.38	1.35-1.41, p<0.001

**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

2015-2021 წლებში ჰოსპიტალიზებული პაციენტების ასაკი მერყეობდა 65-დან 109 წლამდე. ჰოსპიტალიზაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 23% (n=6768) იყო 80-84 ასაკობრივ ჯგუფში. მაღალი იყო მაჩვენებელი ასევე 75-79 და 65-69 ასაკობრივ ჯგუფებში, შესაბამისად 22% (n=6517) და 21% (n=6146) (დიაგრამა N9).

დიაგრამა 9. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, პაციენტების ასაკობრივი სტრუქტურა, საქართველო, 2015-2021წწ.



**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

ასაკობრივ ჯგუფებში ჰოსპიტალიზაციის ანალიზი მცირედ განსხვავებულ სურათს გვაძლევს წლების მიხედვით. 2015-2017 წლებში ყველაზე მაღალი ჰოსპიტალიზაცია (შესაბამისად 28%, 29% და 26%) დაფიქსირდა 75-79 ასაკობრივ ჯგუფებში, ხოლო 2018-2021 წლებში (შესაბამისად 23%, 24%, 25% და 25%) 80-84 ასაკობრივ ჯგუფში (ცხრილი N10).

ცხრილი 10. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ასაკობრივი ჯგუფების  
თანაფარდობა, საქართველო, 2015-2021წწ.

ასაკობრივი ჯგუფები	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
65-69	19%	19%	20%	21%	22%	21%	22%
75-79	28%	29%	26%	22%	20%	17%	13%
70-74	17%	14%	15%	15%	16%	19%	22%
80-84	21%	20%	21%	23%	24%	25%	25%
85+	16%	17%	18%	19%	17%	18%	18%

#### OR(95%CI) 65-69 vs.

	65-69	70-74	75-79	80-84	85+
65-69		1.64 (1.58-1.70)	1.29 (1.24-1.34)	2.64 (2.55-2.74)	3.91 (3.76-4.07)
70-74			0.79 (0.75-0.81)	1.61 (1.55-1.67)	2.39 (2.30-2.48)
75-79				2.05 (1.98-2.13)	3.04 (2.92-3.17)
80-84					1.48 (1.43-1.54)
85+					

წყარო: (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული  
ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

ყველა წლის მონაცემების მიხედვით შანსთა ფარდობების ანალიზმა აჩვენა, რომ  
ძირითადად ასაკის მატებასთან ერთად სარწმუნოდ იზრდება ჰოსპიტალიზაციის  
შანსი ( $p<0.001$ ). ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის შემთხვევათა  
რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის შედეგები ასაკისა და სქესის მიხედვით  
მოყვანილია ცხრილში 11. როგორც ცხრილიდანჩანს, 65-69 წლის ასაკობრივი ჯგუფის  
გარდა, ყველა სხვა ასაკობრივ ჯგუფებში ქალებში ვარდნით გამოწვეული  
ჰოსპიტალიზაციის შანსი სარწმუნოდ მაღალია მამაკაცებთან შედარებით (70-74 წწ -  
 $p=0.001$ ; დანარჩენ ჯგუფებში -  $p<0.001$ ).

ცხრილი 11. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ასაკობრივი ჯგუფების  
მიხედვით ქალების და მამაკაცების შანსთა ფარდობა, საქართველო, 2015-2021წწ.

ასაკობრივი ჯგუფი	ქალები vs. მამაკაცები	
	OR	95%CI, p
65-69	0.99	0.94-1.04, p=0.747 (NS)


70-74	1.10	1.03-1.17, p=0.001
75-79	1.44	1.36-1.52, p<0.001
80-84	1.59	1.50-1.68, p<0.001
85+	1.61	1.50-1.72, p<0.001

NS – non-significant - სტატისტიკურად არასარწმუნო

წყარო: (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

2015-2021 წლებში ვარდნის გამო ჰოსპიტალიზებული პაციენტების 47% (n=4898) მკურნალობდა თბილისში მდებარე ჰოსპიტლებში, 16% - იმერეთის ჰოსპიტლებში, ხოლო პაციენტების 3%-7% საქართველოს დანარჩენ რეგიონებში მდებარე ჰოსპიტლებში (დიაგრამა N10)

დიაგრამა 10. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, პაციენტების განაწილება ჰოსპიტლებში რეგიონების მიხედვით, საქართველო, 2015-2021წწ.



წყარო: (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

2015-2021 წლებში ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების 60%-ში ვარდნა განხორციელდა იმავე დონიდან, 8%-სიმაღლიდან, ხოლო შემთხვევების 32%-ში ლოკალიზაცია არ არის დაზუსტებული. ( $\chi^2=12106.5$ ,  $p<0.001$ ). იმავე დონიდან ვარდნის პრევალირება სხვა ტიპის ვარდნებთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოა

ცხრილი 12. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ვარდნის დონე,  
საქართველო, 2015-2021წწ.

ვარდნა იმავე დონიდან	17839	60%
ვარდნა სიმაღლიდან	2374	8%
დაუზუსტებელი შემთხვევა	9484	32%
სულ:	<b>29697</b>	

Chi2=12106.5 (p<0.001)

წყარო: (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული  
ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

იმავე დონიდან ვარდნის პრევალირება წლების მიხედვითაც შენარჩუნებულია  
(Chi2=606.8, p<0.001); წლების მიხედვით სიმაღლიდან ვარდნის ყველაზე მაღალი  
წილი აღინიშნა 2015 და 2016 წლებში (შესაბამისად 12% და 11%), ყველაზე დაბალი  
2019 და 2021 წლებში (6%-6%).

ცხრილი 13. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ვარდნის დონე,  
საქართველო, 2015-2021წწ. (წლების მიხედვით).


	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ვარდნა იმავე დონიდან	2137	2389	2345	2519	2993	2525	2931
ვარდნა სიმაღლიდან	404	395	350	361	321	296	247
დაუზუსტებელი შემთხვევა	785	851	1779	1633	1845	1385	1206
	<b>3326</b>	<b>3635</b>	<b>4474</b>	<b>4513</b>	<b>5159</b>	<b>4206</b>	<b>4384</b>

Chi2=606.8 (p<0.001)

წყარო: (NARI, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

2015-2021 წლებში ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების 51%-ში დაზიანებული იყო  
ბარძაყის/წვივის მიდამო, 23%-ში - თავის მიდამო, 8% მხრების და ზედა  
კიდურების მიდამო. წლების მიხედვით ანალიზი გვიჩვენებს, რომ თავის მიდამოს  
დაზიანების ყველაზე წილი (27%) იყო 2019 წელს, ბარძაყის/წვივის მიდამოს  
დაზიანების ყველაზე მაღალი წილი (59%) - 2015 წელს. (დიაგრამა N11). ასეთი  
განაწილება სტატისტიკურად სარწმუნოა Chi2=42748.2 (p<0.001).

დიაგრამა 11. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ლოკალიზაცია, საქართველო, 2015-2021წწ.



**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

წლების მიხედვით ლოკალიზაციით ჰოსპიტალიზაციის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილება არ იკვეთება (ცხრილი N13).

ცხრილი 14. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია/ლოკალიზაცია, საქართველო, 2015-2021წწ.

2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
59%	55%	53%	50%	47%	49%	49%
19%	21%	22%	24%	27%	24%	21%
3%	2%	3%	2%	2%	2%	2%
1%	1%	1%	1%	1%	1%	1%
2%	3%	3%	4%	4%	5%	5%
7%	9%	9%	8%	8%	8%	9%
6%	5%	5%	6%	5%	6%	7%
1%	1%	1%	2%	2%	2%	2%
1%	1%	1%	1%	1%	1%	1%
1%	0%	1%	1%	1%	1%	1%

**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

2015-2021 წლებში პაციენტების ჰოსპიტალიზაციაში სტატისტიკურად სარწმუნოდ არ იკვეთება სეზონურობა Chi2=1.01 ( $p=0.586$  - სტატისტიკურად არასარწმუნო) და ჰოსპიტალიზაცია თვეების მიხედვით მერყეობს 8%-9%-ის ფარგლებში (ცხრილი N14).

*ცხრილი 15. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, სეზონურობა, საქართველო, 2015-2021წწ.*

იანვარი	2447	8%
თბერვალი	2300	8%
მარტი	2447	8%
აპრილი	2329	8%
მაისი	2358	8%
ივნისი	2395	8%
ივლისი	2590	9%
აგვისტო	2471	8%
სექტემბერი	2555	9%
ოქტომბერი	2755	9%
ნოემბერი	2430	8%
დეკემბერი	2620	9%

**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

წლების მიხედვით მაქსიმალური 10% დაფიქსირდა 2015 წლის ნოემბერში, 2016 წელს - მარტში, 2017 წელს - ნოემბერში და დეკემბერში, 2018 და 2019 წლებში - ნოემბერში, 2020 წელს - თებერვალში და ზაფხულის სამივე თვეში, 2021 წელს - ივლისში. თუმცა ეს განაწილებაც ვერ ავლენდა სტატისტიკურად სარწმუნო ხასიათს Chi2=0.88 ( $p=0.677$  - სტატისტიკურად არასარწმუნო). (ცხრილი N15).

2015-2021 წლებში ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობის მაქსიმალური ხანგრძლივობა იყო 214 დღე. შემთხვევების 47%-ში საჭირო იყო 5-14 დღიანი მკურნალობა, 36%-2-4 დღე, 14%-ს დასჭირდა 1 დღე, 2%-ს 15-30 დღე, და 1%-ს 30 დღეზე მეტი (დიაგრამა N12). ასეთი განაწილება სტატისტიკურად სარწმუნოა. 5-14 დღიანი დაყოვნების მაჩვენებელი სარწმუნოდ აღემატება დანარჩებ ოპციებს;


შემდეგ მოდის 2-4-დღიანი მკურნალობა, რომლის სიჭარბე ასევე სარწმუნოა დაყოვნების სხვა პერიოდის მქონე მკურნალობებთან ( $\text{Chi}^2=2522.6$ ,  $p<0.001$ ).

*ცხრილი 16. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, სეზონურობა, საქართველო, 2015-2021 (წლების მიხედვით).*

წლები	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
იანვარი	7%	9%	7%	9%	8%	9%	9%
თებერვალი	7%	9%	8%	7%	8%	10%	7%
მარტი	8%	10%	8%	8%	8%	8%	8%
აპრილი	8%	9%	8%	8%	8%	6%	8%
მაისი	8%	8%	8%	7%	9%	7%	9%
ივნისი	8%	7%	8%	6%	8%	10%	8%
ივლისი	9%	8%	8%	8%	8%	10%	10%
აგვისტო	8%	7%	8%	9%	8%	10%	8%
სექტემბერი	8%	9%	8%	9%	9%	9%	8%
ოქტომბერი	9%	8%	10%	10%	10%	8%	9%
ნოემბერი	10%	8%	8%	9%	8%	6%	8%
დეკემბერი	9%	9%	10%	9%	8%	7%	9%

**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

**დიაგრამა 12. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციისას საწოლდღეების რაოდენობა, საქართველო, 2015-2021წწ.**



**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

ცხრილი 17. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობა, საქართველო, 2015-2021წწ.

ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობას	შემთხვევების რაოდენობა	წილი
1 დღე	4303	14%
2-4 დღე	10740	36%
5-14 დღე	13829	47%
15-29 დღე	626	2%
30 და მეტი დღე	199	1%

Chi2=2522.6 (p<0.001)

წყარო: (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

იგივე ტრენდი შეინიშნება წლების მიხედვით ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობაში; აქაც მნიშვნელოვანი ვარიაციები არ აღინიშნება (ცხრილი 17).

ცხრილი 18. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობა, საქართველო, 2015-2021წწ. (წლების მიხედვით).

ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობა	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
1 დღე	14%	13%	13%	15%	15%	16%	15%
2-4 დღე	30%	37%	37%	35%	37%	35%	40%
5-14 დღე	52%	47%	47%	47%	45%	47%	43%
15-29 დღე	2%	2%	2%	2%	2%	2%	2%
30 და მეტი დღე	1%	1%	0%	1%	1%	1%	1%

წყარო: (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ჰოსპიტალში დაყოვნების ყველაზე მაღალი საშუალო ხანგრძლივობა ფიქსირდება 85 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში და 80-84 წლის ასაკობრივ ჯგუფში (შესაბამისად 5,6 და 5,3) ( $\bar{x}$  5,6±4,5 დღე და 5,3±5,1 დღე; ცხრილი N18).

ცხრილი 19. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2015-2021წწ.

ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობა	65-69	75-79	70-74	80-84	85+
1 დღე	19%	14%	17%	12%	11%
2-4 დღე	44%	36%	40%	32%	29%
5-14 დღე	34%	48%	40%	53%	57%
15-29 დღე	2%	2%	2%	2%	3%
30 და მეტი დღე	1%	1%	1%	1%	1%

წყარო: (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023)[141], საკუთარი კვლევის შედეგები  
წლების მიხედვით ჰოსპიტალში დაყოვნების ყველაზე მაღალი საშუალო ხანგრძლივობა ( $5.5 \pm 5.8$  დღე) იყო 2015 წელს, ყველაზე ნაკლები ( $4.8 \pm 4.6$ ) - 2021 წელს (ცხრილი 20).

ცხრილი 20. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალში დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობა, საქართველო, 2015-2021წწ. (წლების მიხედვით).

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ჰოსპიტალში დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობა, დღე	$5.5 \pm 5.8$	$5.3 \pm 5.1$	$5.0 \pm 4.8$	$5.1 \pm 6.0$	$4.9 \pm 4.8$	$5.1 \pm 6.2$	$4.8 \pm 4.6$

წყარო: (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

დაზიანებული ლოკალიზაციის მიხედვით ჰოსპიტალში დაყოვნების ყველაზე მაღალი საშუალო ხანგრძლივობა აღინიშნა კისრის არეში ტრავმული დაზიანების მქონე პაციენტებში ( $8.9 \pm 12.2$  დღე) (ცხრილი N21).

ცხრილი 21. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალში დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობა ტრავმული დაზიანების ლოკალიზაციის მიხედვით, საქართველო, 2015-2021წწ.

ტრავმული დაზიანების ლოკალიზაცია	ჰოსპიტალში დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობა
მენჯ-ბარმაყის სახსრისა და ბარმაყის ტრავმები	$6.0 \pm 4.6$
თავის ტრავმები	$4.2 \pm 6.8$

გულმვერდის ტრავმები	$6.3 \pm 6.1$
მუცლის, ზურგის ქვედა ნაწილის, ხერხემლის წელის ნაწილისა და მენჯის ტრავმები	$6.7 \pm 8.1$
იდაყვისა და წინამხრის ტრავმები	$2.3 \pm 1.9$
მხრის სარტყლისა და მხრის ტრავმები	$3.4 \pm 2.3$
მუხლისა და წვივის ტრავმები	$4.1 \pm 3.0$
ტრავმები, რომლებიც მოიცავს სხეულის რამდენიმე მიღამოს	$6.9 \pm 11.1$
ტრავმების ზოგიერთი ადრეული გართულება	$1.6 \pm 4.3$
მაჯისა და მტევნის ტრავმები	$1.7 \pm 1.1$
სამკურნალწამლო საშუალებებით, მედიკამენტებით და ბიოლოგიური ნივთიერებებით მოწამვლა	$3.2 \pm 5.2$
თერმული და ქიმიური დამწვრობები	$1.6 \pm 1.3$
ტრავმების, მოწამვლებისა და გარეგანი მიზეზებით ზემოქმ. შედეგები	$4.6 \pm 5.1$
კოჭ-წვივის სახსრისა და ტერფის ტრავმები	$2.6 \pm 2.4$
კისრის ტრავმები	$8.9 \pm 12.2$
ტორსის კიდურებისა ან სხეულის რომელიმე მიღამოს დაუზუსტებელი ნაწილის ტრავმები	$5.0 \pm 4.5$
უპირატესად არასამედიც. დანიშნულების სუბსტანციების ტოქს.ეფექტი	$2.0 \pm 1.2$
გარეგანი მიზეზების ზემოქმედების სხვა და დაუზუსტებელი ეფექტები	$4.1 \pm 4.9$
ბუნებრივი ხვრელებით მოხვედრილი უცხო სხეულის შედეგი	$7.0 \pm 8.0$

**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

2015-2021 წლებში ჰოსპიტალიზებული 65 წლის და მეტი ასაკის პაციენტების 92% (n=27418) დაასრულა მკურნალობა (რაც სტატისტიკურად სარწმუნოდ პრევალირებს, Chi2=71835.3, p<0.001), 1% (n=345) შეწყვიტა მკურნალობა, 4% (n=1148) გადაყვანილი იქნა სხვა სტაციონარში მკურნალობის გასაგრძელებლად, 3% (n=786) გარდაიცვალა (ცხრილი N22).

ცხრილი 22. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედეგი, საქართველო, 2015-2021წწ.

ჰოსპიტალიზაციის შედეგი	შემთხვევების რაოდენობა	წილი
დასრულებული მკურნალობა	27418	92%
გარდაიცვალა	786	3%
გადაყვანილია სხვა სტაციონარში	1148	4%
შეწყვეტილი მკურნალობა	345	1%

წყარო: (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

წლების მიხედვით ჰოსპიტალიზაციის შედეგის სტრუქტურაში არ იკვეთება მნიშვნელოვანი ვარიაცია (ცხრილი N23).


ცხრილი 23. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედეგი, საქართველო, 2015-2021წწ. (წლების მიხედვით)

ჰოსპიტალიზაციის შედეგი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
დასრულებული მკურნალობა	91%	92%	93%	94%	93%	92%	92%
გარდაიცვალა	3%	3%	2%	3%	3%	3%	3%
გადაყვანილია სხვა სტაციონარში	6%	4%	3%	3%	3%	5%	4%
შეწყვეტილი მკურნალობა	1%	1%	1%	1%	1%	1%	1%

წყარო: (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები.

ვარდნით გამოწვეულ ჰოსპიტალიზებულთა შორის გარდაცვლილთა რაოდენობა წლების მიხედვით სტატისტიკურად არ განსხვავდება ( $\text{Chi}^2=10.6$ ,  $p=0.103$ ), თუმცა ლეტალურად დასრულებულ შემთხვევათა აბსოლუტური მაჩვენებელი ყველაზე მაღალია 2019 წელს (დიაგრამა N13).

დიაგრამა 13. ჰოსპიტალიზაცია, ღეტალობა, საქართველო, 2015-2021წწ.



**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

2015-2021 წლების მონაცემთა ბაზის დამუშავების პროცესში შევისწავლეთ ჰოსპიტალიზაციის ასოციაციები სქესთან, ასაკთან და ჰოსპიტალიზაციის შედეგთან მიმართებაში.

ქალების ჰოსპიტალიზაცია მამაკაცებთან შედარებით ყველაზე ასაკობრივ ჯგუფში სტატისტიკურად მეტად გვხვდება ( $\text{Chi}^2=777.4$ ,  $p<0.001$ ), თუმცა ყველაზე მაღალია 85 წლის და მეტი და 80-84 წწ. ასაკობრივ ჯგუფში, შესაბამისად 78.9% და 75.0% (ცხრილი N24).

ცხრილი 24. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურა, საქართველო, 2015-2021წწ.

ასაკობრივი ჯგუფები	65-69	75-79	70-74	80-84	85+
მამაკაცი	42%	29%	37%	25%	21%
ქალი	58%	71%	63%	75%	79%

$\text{Chi}^2=777.4$  ( $p<0.001$ )

**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზებულთა განაწილების სტრუქტურა არ იცვლება - დასრულებული მკურნალობა ამ შემთხვევაშიც სარწმუნოდ პრევალირებს ( $\text{Chi}^2=118.4$ ,  $p<0.001$ ), თუმცა 85 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე მაღალია ჰოსპიტალიზაციის ღეტალური შედეგით

დასრულების მაჩვენებელი, რომელიც ყველა ასაკობრივ ჯგუფთან ავლენს სტატისტიკურად სარწმუნო შანსთა ფარდობას (ცხრილი N25).

ცხრილი 25. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედეგი, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2015-2021წწ.

ასაკობრივი ჯგუფები	65-69	75-79	70-74	80-84	85+
დასრულებული მკურნალობა	93%	93%	93%	92%	90%
გარდაიცვალა	2%	2%	2%	3%	5%
OR (95%CI) - 85+ vs. სხვა ასაკობრივი ჯგუფი	2.71 (2.16-3.41) p<0.001	2.39 (1.88-3.02) p<0.001	2.10 (1.71-2.59) p<0.001	1.70 (1.40-2.06) p<0.001	
გადაყვანილია სხვა სტაციონარში	4%	4%	4%	4%	4%
შეწყვეტილი მკურნალობა	1%	1%	1%	1%	1%

Chi2=118.4, p<0.001

**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

ვარდნის დონის მიხედვით ასაკობრივ ჯგუფებშიც სარწმუნოდ სჭარბობს იმავე დონიდან ვარდნის შემთხვევები (Chi2=255.4, p<0.001), ამ კუთხითაც 85 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე მაღალია იმავე დონიდან ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, თუმცა 80-84 წწ. ჯგუფის მაჩვენებელთან ვერ ავლენდა სარწმუნო განსხვავებას (ცხრილი 26).

ცხრილი 26. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ვარდნის დონე, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2015-2021წწ.

ასაკობრივი ჯგუფები	65-69	75-79	70-74	80-84	85+
ვარდნა იმავე დონიდან	55%	60%	58%	63%	64%
ვარდნა სიმაღლიდან	12%	8%	9%	6%	6%
დაუზუსტებელი შემთხვევა	33%	32%	33%	31%	31%
OR (95%CI) - 85+ vs. სხვა ასაკობრივი ჯგუფი	1.41 (1.31-1.53) p<0.001	1.28 (1.18-1.38) p<0.001	1.15 (1.07-1.24) p=0.002	1.01 (0.95-1.10) p=0.620	

Chi2=255.4, p<0.001

**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

85 წლის და მეტი და 80-84 ასაკობრივი ჯგუფში, ყველაზე მაღალია მენჯ-ბარძაყის დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები, შესაბამისად 79% და 75%. 65-69 წლის ასაკში კი სხვა ასაკობრივი ჯგუფებთან შედარებით მაღალია თავის ტვინის ტრავმული დაზიანება, მხრების მიდამოს და ზედა კიდურების, ასევე ქვედა კიდურების, თორაქების დაზიანება (ცხრილი N27).

85 წლის და მეტი ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებს 57% შემთხვევაში დასჭირდათ 5-14 დღიანი ჰოსპიტალური მკურნალობა, ხოლო 29%-ს 2-4 დღე.

80-84 ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებს 53% შემთხვევაში დასჭირდათ 5-14 დღიანი ჰოსპიტალური მკურნალობა, ხოლო 32%-ს 2-4 დღე.

70-74 ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებს 40% შემთხვევაში თანაბრად დასჭირდათ 5-14 და 2-4 დღიანი ჰოსპიტალური მკურნალობა.

75-79 ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებს 48% შემთხვევაში დასჭირდათ 5-14 დღიანი ჰოსპიტალური მკურნალობა, ხოლო 36%-ს 2-4 დღე.

ცხრილი 27. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ტრავმული დაზიანების ლოკალიზაციის მიხედვით, საქართველო, 2015-2021წწ. (ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით)

ტრავმული დაზიანების ლოკალიზაცია	65-69	75-79	70-74	80-84	85+
მენჯ-ბარძაყის სახსრისა და ბარძაყის ტრავმები	28%	53%	39%	65%	73%
OR (95%CI) - 85+ vs. სხვა ასაკობრივი ჯგუფი	<b>6.86</b> (6.31-7.44) p<0.001	<b>4.18</b> (3.84-4.54) p<0.001	<b>2.40</b> (2.22-2.59) p<0.001	<b>1.44</b> (1.33-1.56) p<0.001	
OR (95%CI) – 80-84 vs. სხვა ასაკობრივი ჯგუფი	<b>4.74</b> (4.41-5.12) p<0.001	<b>2.89</b> (2.68-3.12) p<0.001	<b>1.66</b> (1.55-1.78) p<0.001		
თავის ტრავმები	28%	23%	27%	19%	17%
OR (95%CI) – 65-69 vs. სხვა ასაკობრივი ჯგუფი		<b>1.06</b> (0.97-1.15) p=0.202	<b>1.31</b> (1.21-1.42) p<0.001	<b>1.61</b> (1.48-1.75) p<0.001	<b>1.97</b> (1.80-2.16) p<0.001
გულმკერდის ტრავმები	4%	2%	3%	2%	1%

მუცლის, ზურგის ქვედა ნაწილის, ხერხემლის წელის ნაწილისა და მენჯის ტრავმები	2%	1%	2%	1%	0%
იდაყვისა და წინამხრის ტრავმები	7%	3%	5%	2%	1%
მხრის სარტყლისა და მხრის ტრავმები	12%	9%	11%	6%	4%
<b>OR (95%CI) - 65-69 vs. სხვა ასაკობრივი ჯგუფი</b>		<b>1.13 (1.01-1.27) p=0.036</b>	<b>1.42 (1.26-1.59) p&lt;0.001</b>	<b>2.37 (2.08-2.70) p&lt;0.001</b>	<b>3.56 (3.02-4.18) p&lt;0.001</b>
მუხლისა და წვივის ტრავმები	0%	0%	0%	0%	0%
ტრავმები, რომლებიც მოიცავს სხეულის რამდენიმე მიღამოს	2%	2%	2%	1%	1%
ტრავმების ზოგიერთი ადრეული გართულება	2%	2%	2%	1%	1%
მაჯისა და მტევნის ტრავმები	1%	1%	1%	1%	1%

**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული  
ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

65-69 ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებს 44% შემთხვევაში დასჭირდათ 5-14 დღიანი  
ჰოსპიტალური მკურნალობა, ხოლო 34%-ს 2-4 დღე (ცხრილი N28).

ცხრილი 28. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალში დაყოვნების  
ხანგრძლივობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2015-2021წწ.

ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობა	65-69	75-79	70-74	80-84	85+
1 დღე	19%	14%	17%	12%	11%
2-4 დღე	44%	36%	40%	32%	29%
5-14 დღე	34%	48%	40%	53%	57%
15-29 დღე	2%	2%	2%	2%	3%
30 და მეტი დღე	1%	1%	1%	1%	1%

**Chi2=843.2, p<0.001**

**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული  
ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

ქალებთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოდ ნაკლებმა მამაკაცმა დაასრულა  
მკურნალობა, შესაბამისად 94% და 89%. ქალებთან შედარებით სტატისტიკურად

სარწმუნოდ უფრო მეტი მამაკაცი პაციენტი გარდაიცვალა, შესაბამისად 5% და 2% (ცხრილი N29).

**ცხრილი 29. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალიზაციის შედეგი, სქესობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2015-2021წწ.**

ჰოსპიტალიზაციის შედეგი	მამაკაცი	ქალი
დასრულებული მკურნალობა	89%	94%
OR (95%CI) - ქალი vs. მამაკაცი	<b>2.00 (1.83 – 2.18), p&lt;0.001</b>	
გარდაიცვალა	5%	2%
OR (95%CI) - მამაკაცი vs. ქალი	<b>2.57 (2.23 – 2.97), p&lt;0.001</b>	
გადაყვანილია სხვა სტაციონარში	5%	3%
OR (95%CI) - მამაკაცი vs. ქალი	<b>1.73 (1.54 – 1.95), p&lt;0.001</b>	
შეწყვეტილი მკურნალობა	1%	1%

**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

მამაკაცებთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოდ უფრო მეტი ქალი იქნა ჰოსპიტალიზებული იმავე დონეზე ვარდნის გამო (ცხრილი 30).

**ცხრილი 30. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ვარდნის დონე, სქესობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2015-2021წწ.**

ვარდნის დონე	მამაკაცი	ქალი
ვარდნა იმავე დონიდან	54%	63%
OR (95%CI) - ქალი vs. მამაკაცი	<b>1.43 (1.36 – 1.51), p&lt;0.001</b>	
ვარდნა სიმაღლიდან	13%	6%
OR (95%CI) - მამაკაცი vs. ქალი	<b>2.33 (2.14 – 2.54), p&lt;0.001</b>	
დაუზუსტებელი შემთხვევა	33%	31%
OR (95%CI) - მამაკაცი vs. ქალი	<b>1.09 (1.03 – 1.14), p=0.002</b>	

**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

მამაკაცებთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოდ უფრო მეტი ქალ პაციენტს დასჭირდა 5-14 დღიანი ჰოსპიტალური მკურნალობა (ცხრილი N31).

ცხრილი 31. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობა სქესობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2015-2021წწ.

ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობა	მამაკაცი	ქალი
1 დღე	17%	13%
2-4 დღე	37%	36%
5-14 დღე	42%	49%
OR (95%CI) - ქალი vs. მამაკაცი	1.32 (1.26 – 1.39), p<0.001	
15-29 დღე	3%	2%
30 და მეტი დღე	1%	0%

წყარო: (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

სეზონურობის მიხედვით ჰოსპიტალიზაციის სტრუქტურა პრაქტიკულად იდენტურია ორივე სქესის პაციენტებისთვის (ცხრილი N32). ეს მონაცემები არ განსხვავდება სარწმუნოდ.

ცხრილი 32. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, სეზონურობა სქესობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2015-2021წწ.

სეზონურობა	მამაკაცი	ქალი
იანვარი	8%	8%
თებერვალი	8%	8%
მარტი	8%	8%
აპრილი	8%	8%
მაისი	8%	8%
ივნისი	8%	8%
ივლისი	8%	9%
აგვისტო	8%	8%
სექტემბერი	8%	9%
ოქტომბერი	10%	9%
ნოემბერი	8%	8%
დეკემბერი	9%	9%

წყარო: (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

მამაკაცებთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოდ უფრო მეტი ქალ პაციენტს დასჭირდა ჰოსპიტალური მკურნალობა მენჯ-ბარძაყის მოტეხილობის, იდაყვისა და წინამხრის ტრავმებისა და მხრის სარტყლისა და მხრის ტრავმების გამო. ქალებთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოდ მეტ მამაკაცს დასჭირდა ჰოსპიტალური

მკურნალობა თავის ტვინის და გულ-მკერდის ტრავმული დაზიანების გამო (ცხრილი N33).

ცხრილი 33. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ტრავმული დაზიანების ლოკალიზაცია სქესობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2015-2021წწ.

ტრავმული დაზიანების ლოკალიზაცია	მამაკაცი	ქალი
მენჯ-ბარმაყის სახსრისა და ბარმაყის ტრავმები	38%	58%
OR (95%CI) - ქალი vs. მამაკაცი	2.26 (2.15 – 2.38), p<0.001	
თავის ტრავმები	33%	18%
OR (95%CI) - მამაკაცი vs. ქალი	2.13 (2.02 – 2.26), p<0.001	
გულმკერდის ტრავმები	6%	1%
OR (95%CI) - მამაკაცი vs. ქალი	6.82 (5.74 – 8.10), p<0.001	
მუცლის, ზურგის ქვედა ნაწილის, ხერხემლის წელის ნაწილისა და მენჯის ტრავმები	3%	1%
იდაყვისა და წინამხრის ტრავმები	2%	5%
OR (95%CI) - ქალი vs. მამაკაცი	2.42 (2.06 – 2.85), p<0.001	
მხრის სარტყლისა და მხრის ტრავმები	6%	9%
OR (95%CI) - ქალი vs. მამაკაცი	1.44 (1.31 – 1.58), p<0.001	
მუხლისა და წვივის ტრავმები	0%	0%
ტრავმები, რომლებიც მოიცავს სხეულის რამდენიმე მიდამოს	6%	6%
ტრავმების ზოგიერთი ადრეული გართულება	3%	1%
მაჯისა და მტევნის ტრავმები	1%	1%

**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული  
ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

ჰოსპიტალიზის ტრენდი სქესობრივ ჭრილში მოცემულია დიაგრამაში  
(დიაგრამა N14).

დიაგრამა 14. ჰოსპიტალიზაცია სქესობრივ ჭრილში, საქართველო, 2015-2021წწ.



**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

ლეტალური შედეგით დასრულდა თავის ტინის ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების 44% და მენჯ-ბარმაყის მოტეხილობით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების 36% (ცხრილი N34 და N35)

**ცხრილი 34.** . ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ტრავმული დაზიანების ლოკალიზაცია და ჰოსპიტალიზაციის შედეგი, საქართველო, 2015-2021წწ.

ტრავმული დაზიანების ლოკალიზაცია	დასრულებული მკურნალობა	გარდაიცვალა	გადაყვანილია სხვა სტაციონარში	შეწყვეტილი მკურნალობა
მენჯ-ბარმაყის სახსრისა და ბარმაყის ტრავმები	53%	36%	31%	43%
თავის ტრავმები	22%	44%	28%	32%
გულმკერდის ტრავმები	2%	4%	2%	6%
მუცლის, ზურგის ქვედა ნაწილის, ხერხემლის წელის ნაწილისა და მენჯის ტრავმები	1%	4%	2%	1%
იდაყვისა და წინამხრის ტრავმები	4%	0%	0%	3%
მხრის სარტყლისა და მხრის ტრავმები	9%	1%	1%	5%
მუხლისა და წვივის ტრავმები	0%	0%	0%	0%
ტრავმები, რომლებიც მოიცავს სხეულის რამდენიმე მიდამოს	6%	0%	1%	5%
ტრავმების ზოგიერთი ადრეული გართულება	1%	6%	12%	3%
მაჯისა და მტევნის ტრავმები	0%	2%	19%	1%

**ცხრილი 35.** გარდაცვალების გამომწვევი ტრავმული დაზიანების ლოკალიზაცია, საქართველო, 2015-2021წწ.

ტრავმული დაზიანების ლოკალიზაცია	OR (95%CI)	
	მენჯ-ბარძაყის სახსრისა და ბარძაყის ტრავმები vs.	თავის ტრავმები vs.
გულმკერდის ტრავმები	13.9 (9.5–20.5), p<0.001	19.2 (13.0–28.2) p<0.001
მუცლის, ზურგის ქვედა ნაწილის, ხერხემლის წელის ნაწილისა და მენჯის ტრავმები	14.9 (10.0–22.3), p<0.001	20.5 (13.8–30.5) p<0.001
მხრის სარტყლისა და მხრის ტრავმები	44.4 (23.4–84.2), p<0.001	61.0 (32.2–115) p<0.001
მუხლისა და წვივის ტრავმები	224.2 (55.5–905.0), p<0.001	308.3 (76.4–1243), p<0.001
ტრავმები, რომლებიც მოიცავს სხეულის რამდენიმე მიდამოს	8.8 (6.3–12.2), p<0.001	12.1 (8.7–16.7), p<0.001
ტრავმების ზოგიერთი ადრეული გართულება	36.9 (20.5–66.4), p<0.001	50.7 (28.2–91.3) p<0.001

**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული  
ცენტრი, 2023) საკუთარი კვლევის შედეგები

ჰოსპიტალიზებული პაციენტების უმეტესობა გარდაიცვალა 5-14 დღიანი  
მკურნალობის შემდეგ (36%), და თითქმის თანაბარი რაოდენობით პაციენტები 1  
დღიანი და 2-4 დღიანი მკურნალობის შემდეგ, შესაბამისად 18% და 20% (ცხრილი  
N36 და ცხრილი N37).

ცხრილი 36. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალში დაყოვნების  
ხანგრძლივობა და ჰოსპიტალიზაციის შედეგი, საქართველო, 2015-2021წ.

ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობა	დასრულებული მკურნალობა	გარდაიცვალა	გადაყვანილია სხვა სტაციონარში	შეწყვეტილი მკურნალობა
1 დღე	11%	18%	87%	52%
2-4 დღე	38%	20%	6%	26%
5-14 დღე	49%	36%	5%	17%
15-29 დღე	2%	16%	1%	3%



**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

ცხრილი 37. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობა და ლეტალური შედეგი, საქართველო, 2015-2021წწ.

ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობა	OR (95%CI)
	5-14 დღე vs.
1 დღე	2.44 (1.94–3.08), p<0.001
2-4 დღე	2.20 (1.75–2.76), p<0.001
15-29 დღე	2.95 (2.32–3.76), p<0.001
30 და მეტი დღე	4.95 (3.76–6.52), p<0.001

**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

41% დაუზუსტებელი შემთხვევების გამო რთულია დასკვნის გაკეთება იმის შესახებ თუ რომელი პაციენტი უფრო მეტი გარდაიცვალა იმავე დონიდან ვარდნის თუ სიმაღლიდან ვარდნის გამო (ცხრილი N38).


ცხრილი 38. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია, ვარდნის დონე და ჰოსპიტალიზაციის შედეგი, საქართველო, 2015-2021წწ.

ვარდნის დონე	დასრულებული მკურნალობა	გარდაიცვალა	გადაყვანილია სხვა სტაციონარში	შეწყვეტილი მკურნალობა
ვარდნა იმავე დონიდან	61%	45%	53%	60%
ვარდნა სიმაღლიდან	7%	14%	17%	10%
დაუზუსტებელი შემთხვევა	32%	41%	29%	30%

**წყარო:** (დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, 2023), საკუთარი კვლევის შედეგები

ჰოსპიტალიზაციის ტრენდი ვარდნის დონესთან მიმართებაში მოცემულია დიაგრამაში (დიაგრამა N15).

